



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

23 მარტი 2021 წელი

N 25/36

ეგზ.: N 1

შპს „მთის კურორტების განვითარების
კომპანიის“ 2018-2019 წლების
შესაბამისობის აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	8
	1. შესავალი	11
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	11
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	11
	აუდიტის საგანი	11
	აუდიტის მასშტაბი	12
	აუდიტის კრიტერიუმები	12
	აუდიტის მიზანი	13
	აუდიტის მეთოდოლოგია	13
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	13
დანართები	2. აუდიტის მიგნებები	15
	2.1 კომპანიის სტრატეგია და გეგმები	15
	2.2 პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება	17
	2.3 შემოსავლების ფორმირება	21
	2.4 განხორციელებული შესყიდვები	27
	2.5 ქონების მართვა	32
	2.6 მოთხოვნები და ვალდებულებები	33
	2.7 შრომის ანაზღაურება	34
	2.8 სხვა ხარჯები	38
	2.9 სალაროს ოპერაციები	40
	2.10. საწვავის განკარგვა	41

ტერმინები და შემოკლებები

კომპანია – შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“.

სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

წესდება – სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 29 დეკემბრის №1/1-4136 ბრძანებით დამტკიცებული კომპანიის წესდება.

სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ეთგო – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.¹

კომისია – შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიაში“ შექმნილი კომისია სამთო-სათხილამურო კურორტებზე საბაგიროს აბონემენტების უფასოდ და შეღავათიანი ფასით გაცემის, საბაგიროს აბონემენტებთან დაკავშირებული საკითხების განმხილვის მიზნით.

¹ ეთგო – საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია, აერთიანებს 37 ქვეყანას.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ 2018-2019 წლების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

კომპანიის განვითარების სტრატეგიის არარსებობა

2018-2019 წლებში კომპანიას არ გააჩნდა პარტნიორთან შეთანხმებული და ოფიციალურად დამტკიცებული სტრატეგიის დოკუმენტი და მის განსახორციელებლად საჭირო სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, შეუძლებელია აუდიტის პერიოდში კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობის კომპანიის სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის შეფასება წინასწარ განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების მიხედვით. ამასთანავე, აუდიტის პერიოდში არ დასტურდება კომპანიის სტრატეგიის შემუშავებისთვის ქმედითი აქტივობები.

ბიზნესგეგმებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კომპანიის 2018-2019 წლების ბიზნესგეგმები არ იყო დამტკიცებული კანონმდებლობის და კომპანიის წესდების შესაბამისად, ასევე კომპანიაში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა პარტნიორის მიერ კომპანიის ბიზნესგეგმების შეთანხმების/მოწონების ფაქტს. შესაბამისად, შეუძლებელია აუდიტის პერიოდში კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება პარტნიორთან შეთანხმებული წინასწარ განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების მიხედვით.

პარტნიორის მიერ კომპანიის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის ნაკლოვანებები

სააგენტოს მიერ შედგენილი 2018 და 2019 წლების წლიური ანგარიშებიდან არ იკვეთება მისი, როგორც აქტიური პარტნიორის როლი. ანგარიშები არ მოიცავს საკმარის ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენად, რა მოცულობით და როგორ შეასრულა სააგენტომ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის უფლებამოსილებები.

სააგენტოს მიერ სახელმწიფო საწარმოს შესახებ აგრეგირებული და გამოქვეყნებული ინფორმაციის ნაკლოვანებები მიუთითებს გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სისრულის და სისწორის კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე და ვერ უზრუნველყოფს განახლებული ინფორმაციის გასაჯაროებას სახელმწიფო საწარმოების შესახებ.

პარტნიორის არასათანადო ჩართულობა

არ დასტურდება სააგენტოს მიერ მისთვის კანონმდებლობით (და მისივე ბრძანებით) განსაზღვრული ცალკეული პასუხისმგებლობების შესრულება, მათ შორის, წლიური შედეგების და საწარმოების ბიზნესგეგმების დამტკიცება, ბიზნესგეგმის შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, სააგენტოში წარმოდგენილი ბიზნესგეგმების პროექტების ფინანსური ანალიზი და სხვ.

კომპანიის წესდების ფორმულირება, კომპანიის პარტნიორის უფლებამოსილების კონტექსტში, ნაწილობრივ არ შეესაბამება სააგენტოს დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

პარტნიორის გადაწყვეტილებების ნაკლოვანებები

ცალკეული საკითხი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვადასხვა საფუძვლის გათვალისწინებით, მოითხოვდა სააგენტოსთან შეთანხმებას, თუმცა მათთან დაკავშირებით სააგენტოს პასუხები/წერილები თავისი შინაარსით არ წარმოადგენს რაიმე ტიპის გადაწყვეტილებას – თანხმობას ან უარს, ან ერთმნიშვნელოვან პოზიციას პარტნიორის უფლებამოსილების ფარგლებში

გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომპანიის ზოგიერთ მიმართებაზე სააგენტომ არასრულფასოვნად განახორციელა სახელმწიფო საწარმოს პარტნიორისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებები.

ბარათების აღრიცხვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კურორტ გუდაურის მოღარეებზე ბარათების გადაცემა წარმოებს დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების გარეშე. ამასთანავე, არ ტარდება მათი ინვენტარიზაცია. შესაბამისად, არასათანადო კონტროლის მექანიზმების პირობებში, კომპანიაში ბარათების აღრიცხვის პროცესი ნაკლებად გამჭვირვალეა.

ფასწარმოქმნის ნაკლოვანებები

კომპანიაში არ არსებობს მომსახურების ფასების გაანგარიშების პოლიტიკა და მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სოციალური, ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. ამასთანავე, ინფორმაციის მიწოდებაზე სათანადო კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში ბილეთები რეალიზებული იყო დადგენილი ტარიფებისგან განსხვავებული ფასებით. კომპანიაში ფასების გაანგარიშების პოლიტიკისა და მეთოდოლოგიის არარსებობა შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის შემოსავლების ფორმირებასა და ფინანსურ შედეგებზე.

აბონემენტების უფასოდ გაცემის პროცესის ნაკლოვანებები

აბონემენტების უფასოდ ან/და შეღავათიანი ფასით გაცემის შესახებ კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესები არის ზოგადი და იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთანავე, გადაწყვეტილებებში არ ფიქსირდება უფასოდ გასაცემი აბონემენტების რაოდენობა. აღნიშნული რაოდენობები დგინდება ჩუქების ხელშეკრულებების ხელმოწერი პირების მიერ. ზოგ შემთხვევაში ჩუქების ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული და გაურკვეველია გადასაცემი აბონემენტების რაოდენობის დამდგენ პირთა ვინაობა.

რიგ შემთხვევებში უფასოდ გადაცემულ სახელობით აბონემენტებზე არ ფიქსირდება მფლობელის ვინაობა, რაც ართულებს მათი გამოყენების კონტროლს და წარმოშობს აბონემენტების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების რისკს.

აბონემენტების უფასოდ გაცემის პროცესი არ არის გამჭვირვალე, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის შემოსავლებზე.

დადგენილ ვადებში შეუსრულებელი ხელშეკრულებები

კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე დროულად არ განახორციელა რეაგირება და ოთხ ხელშეკრულებაში არ შეიტანა ცვლილებები სათანადო დასაბუთებით, შესყიდვების სააგენტოსთან და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ხოლო ერთ შემთხვევაში ვადის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო შესყიდვების სააგენტოსთან და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან 148 დღის შემდეგ.

დარღვევებით წარმოებული სარეკონსტრუქციო

კომპანიამ შინოს საბაგიროს ფარეხის მშენებლობა 2017 წელს დაიწყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვისა და მშენებლობის პროექტის სავალდებულო ექსპერტიზის გარეშე. დარღვევებით წარმოებული მშენებლობა

სამუშაოები

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სამ თვეში გახდა ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი, რის გამოც კომპანიას მოუხდა განმეორებითი შესყიდვების განხორციელება დაზიანებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით.

კომპანიამ თავდაპირველი მშენებლობისა და შემდგომი რეკონსტრუქციის სამუშაოები აწარმოა წინასწარი სამშენებლო ნებართვებისა და მშენებლობის წარმოების ეტაპების სავალდებულო საექსპერტო შეფასებების გარეშე, რითაც შექმნა განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობის (V კლასის) სათანადო ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკები.

პროექტის შეუსაბამო სამუშაოები

კომპანიამ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმა პროექტისგან განსხვავებით შესრულებულ სამუშაოებზე, პროექტში შესაბამისი ცვლილების განხორციელების გარეშე. აღნიშნული ქმნის სამუშაოების მიღების რისკს, რომელმაც შესაძლოა ვერ დააკმაყოფილოს შემსყიდველის რეალური საჭიროებები.

ნებართვების გარეშე დაწყებული სამშენებლო სამუშაოები

კომპანიის მიერ განსახორციელებელი რთული და სპეციფიკური სამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე, ასეთი სამუშაოების უნებართვოდ წარმოებამ, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს სხვადასხვა მიმართულებით (გარემოზე ზემოქმედება, მოსახლეობის უსაფრთხოება, არსებული ინფრასტრუქტურის შესაძლო დაზიანება და ა.შ.).

კომპანიისთვის დაკისრებული ჯარიმები

2018-2019 წლებში სამშენებლო და სანებართვო პირობების დარღვევისთვის კომპანიაზე დაკისრებული მნიშვნელოვანი მოცულობის ჯარიმები მიუთითებს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული დაჯარიმების საფუძვლების აღმოფხვრა კომპანიისათვის არ არის პრიორიტეტული, მიუხედავად ასეთ სამუშაოებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა.

ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

კომპანიას 2018-2019 წლებში არ ჩაუტარებია ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების სისრულის და არსებობის შესახებ. ამასთანავე, ინვენტარიზაციის ჩაუტარებლობა ზრდის კომპანიის ქონების დანაკარგების რისკს.

კომპანიის საკუთრებად დაურეგისტრირებული ქონება

კომპანიის საკუთრებად არ არის რეგისტრირებული ბალანსზე რიცხული 19 მიწის ნაკვეთი, ასევე დაურეგისტრირებელია ბალანსზე რიცხული 16 შენობა-ნაგებობა და არ აქვს მინიჭებული საკადასტრო კოდი. სასრიალო გზების უმეტესობა არ არის ბალანსზე აღრიცხული და კომპანიის საკუთრებად რეგისტრირებული.

მოთხოვნების მართვის ნაკლოვანებები

კომპანიას 2018-2019 სამეურნეო წლების ბოლოს არ ჩაუტარებია მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება დებიტორული დავალიანებების არსებობის, სისრულის და სიზუსტის შესახებ. კომპანიის მიერ სათანადოდ არ იყო გამოყენებული 25 დებიტორის მიმართ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში თანხის მოთხოვნის უფლება, რაც ამცირებს მათი მიღების შესაძლებლობას.

კომპანიის დირექტორის ხელფასის უსაფუძვლო ზრდა

არაუფლებამოსილი პირის მიერ შრომის ანაზღაურების ზრდასთან დაკავშირებული ბრძანების გამოცემით დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რის შედეგადაც 2016 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ნოემბრამდე კომპანიის ყოფილი დირექტორის ანაზღაურება უსაფუძვლოდ გაიზარდა ჯამში – 109,021 ლარის ოდენობით.

პრემიების გაცემა სათანადო დასაბუთების გარეშე

კომპანიაში პრემიები გაცემულია მოქმედი პრემირების წესისა და შინაგანაწესის მოთხოვნების დარღვევით. კერძოდ, არ არის წარმოდგენილი პრემირების სათანადო დასაბუთებები. ამასთანავე, კომპანიის დირექტორების პრემირების ბრძანებები გამოცემულია არაუფლებამოსილი პირების მიერ, სააგენტოს გადაწყვეტილების გარეშე. შედეგად, პრემიები გაცემულია გაუმჭვირვალედ და დაუსაბუთებლად.

დანამატების გაცემა სათანადო დასაბუთების გარეშე

კომპანიაში დანამატები არ გაიცემა სათანადო დასაბუთების საფუძველზე, რაც შესაძლოა უსაფუძვლოდ ზრდიდეს კომპანიის ხარჯებს და ხელს უწყობდეს კომპანიის სახსრების გაუმჭვირვალე და არაეკონომიურ განკარგვას.

საგადასახადო შეღავათის არასწორად გავრცელება

საგადასახადო შეღავათი გავრცელებულია საგადასახადო კოდექსის მოთხოვნის შეუსაბამოდ. 23,903 ლარი გაცემულია დაბეგვრის გარეშე. აღნიშნული თანხის საშემოსავლო გადასახადი ექვემდებარება ბიუჯეტში გადარიცხვას.

გაუმჭვირვალე ხარჯი

კომპანიამ ბაზრის კვლევის გარეშე მიმწოდებელთან გააფორმა 122,581 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, სადაც არ იყო განსაზღვრული რამდენიმე მნიშვნელოვანი მომსახურების დეტალური სპეციფიკაცია. შესაბამისად, კომპანია მომსახურების მიღება-ჩაბარების ეტაპზე მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა მიღებული მომსახურების სისრულესა და ხარისხზე. აღნიშნული გარემოებების გამო, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე ვერ შეძლო მოეპოვებინა მტკიცებულებები გაწეული ხარჯების ეკონომიურობასთან დაკავშირებით.

2018-2019 წლებში კომპანიის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებზე უფასოდ გადაცემული აბონემენტების თანხობრივმა მოცულობამ შეადგინა 133,000 ლარი. ამასთანავე, VIP მომხმარებლებზე უფასოდ გადაცემული აბონემენტების ღირებულების ჯამმა შეადგინა 128,000 ლარი. კომპანიამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტის სახით შექმნილი აბონემენტებით უფასოდ მოსარგებლე პირთა სრული სია, რითაც შესაძლებელი გახდებოდა თანამშრომელთა ოჯახის წევრების და VIP მომხმარებლების იდენტიფიცირება და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის დადგენა.

მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების გარეშე უფასოდ გადაცემული აბონემენტების ღირებულების ხარჯებად აღიარება ეწინააღმდეგება კომპანიის შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებებს, ხარჯები გაუმჭვირვალეა და არ იძლევა მათი საჭიროებისა და მიზნობრიობის დადგენის შესაძლებლობას.

სალაროებში ყოველდღიური ნაშთების ლიმიტის არარსებობა

კომპანიის სალაროს დებულებაში არ არის განსაზღვრული სალაროებში დღის ბოლოს არსებული ნაღდი ფულის ნაშთის ლიმიტები, რაც წარმოქმნის თანხების არასანქცირებული გამოყენების და დაუცველობის რისკებს.

**საწვავის ხარჯვის და
ლიმიტების ბრძანებების
ნაკლოვანებები**

კომპანიაში საწვავის ლიმიტების დადგენის შესახებ დირექტორის ბრძანებები შედგენილი იყო არასრულად და ხარვეზებით. ცალკეულ შემთხვევაში ლიმიტები განსაზღვრული იყო კომპანიის რეალურ საჭიროებებზე ნაკლები ოდენობით. ასევე, კომპანიაში დანერგილი კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, საწვავის დადგენილი ლიმიტის გარეშე ხარჯვა არ არის დასაბუთებული და იძლევა არამიზნობრივად გამოყენების საშუალებას.

**რეზერვუარიდან საწვავის
ხარჯვის ნაკლოვანებები**

კომპანიაში არ რეგულირდებოდა რეზერვუარებიდან საწვავის გაცემის მიზნობრიობა, ასევე რეზერვუარებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანებებში 2019 წლის 23 ივლისამდე არ იყო გაწერილი რეზერვუარიდან საწვავის გაცემის აღრიცხვის წესი. აღნიშნული მარეგულირებელი აქტების არარსებობამ და კონტროლის მექანიზმების სისუსტემ გამოიწვია დიზელის რეზერვუარიდან საწვავის გაცემის არასრული აღრიცხვა და დაუსაბუთებელი ხარჯვა.

**საწვავის მიღებისა და
ხარჯვის კონტროლის
მექანიზმების სისუსტე**

დიზელის რეზერვუარებში საწვავის მიღებისა და საწვავის ბარათებიდან ხარჯვაზე არასათანადო კონტროლის მექანიზმების გამო, კომპანიაში განხორციელდა საწვავის დაუსაბუთებელი და არამიზნობრივი ხარჯვა.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“ და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს:

სამთო კურორტების განვითარებისთვის კომპანიის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანების სათანადო დაგეგმვის, კომპანიის საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების გამართული სისტემის დანერგვის უზრუნველსაყოფად, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, სსიპ – ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შეიმუშაოს და დაამტკიცოს კომპანიის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიის მიზნების, ამოცანების, მათი შესრულების შეფასების ინდიკატორების და ვადების მითითებით.

რეკომენდაცია №2

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს:

დაინტერესებული პირებისათვის სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის გამჭვირვალობის ინსტრუმენტის შექმნისა და საქმიანობის შეფასების შესაძლებლობის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განავითაროს სახელმწიფო საწარმოების შესახებ ინფორმაციის აგრეგირებისა და წლიური რეპორტირების სისტემა, რომელიც მათ შორის, უზრუნველყოფს სააგენტოს, როგორც სახელმწიფო საწარმოების პარტნიორის მიერ ყოველწლიურად განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის სისრულეს და ხელმისაწვდომობას;

ასევე, მომხმარებლებისთვის საიმედო და განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, სააგენტომ უზრუნველყოს მის მიერ გამოსაქვეყნებელი მონაცემების სისწორის კონტროლის მექანიზმების გაძლიერება და გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლება გონივრული პერიოდულობით.

რეკომენდაცია №3

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“ და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს:

კომპანიის წესდების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყონ კომპანიის წესდების შინაარსის განახლება და მისი მიღებისთვის აუცილებელი პროცედურების ჩატარება.

რეკომენდაცია №4

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“:

კომპანიის შემოსავლების ეფექტიანი მართვისათვის, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ შეიმუშაოს კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა და მეთოდოლოგია, სადაც სოციალურ მიზნებთან ერთად გათვალისწინებული იქნება ასევე კომპანიის ეკონომიკური მიზნები.

რეკომენდაცია №5**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“:**

აბონემენტების უფასოდ გაცემის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ შეიმუშაოს „სამთო-სათხილამურო კურორტებზე საბაგიროს აბონემენტების უფასოდ და შეღავათიანი ფასით გაცემის, საბაგიროს აბონემენტებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის“ საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესების ახალი რედაქცია, რითაც დადგინდება აბონემენტების უფასოდ და შეღავათიანი ფასებით გაცემის კრიტერიუმები და განისაზღვრება გადასაცემი აბონემენტების კატეგორიები, ტიპები და რაოდენობები.

რეკომენდაცია №6**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“:**

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ მარეგულირებელი კანონმდებლობის გათვალისწინებით შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები, რითაც სხვა საკითხებთან ერთად განისაზღვრება ბარათების სარეალიზაციოდ და აბონემენტების/ბილეთების უსასყიდლოდ გადაცემისას შესადგენი პირველად დოკუმენტები, მათი გაფორმებისა და ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის ვადები და პასუხისმგებელი პირები.

რეკომენდაცია №7**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“:**

მოთხოვნების მართვის უზრუნველსაყოფად შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ განსაზღვროს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას, დებიტორებთან მოლაპარაკებებს და ურთიერთშეძარების აქტების გაფორმებას, მოთხოვნების წარმოშობის, ხანდაზმულობის და დაკმაყოფილების შესაძლებლობის შესწავლას. ასევე მიზანშეწონილია კომპანიამ დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დებიტორებთან დაკავშირებული მონაცემების სისტემატურ განახლებას და ხელმძღვანელი პირებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, მოთხოვნების მართვასთან დაკავშირებით ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

რეკომენდაცია №8**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“:**

შპს „საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანია“ სახსრების გამჭვირვალედ და ეკონომიურად განკარგვის მიზნით, განიხილოს სამუშაო საათების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის მთის კურორტებზე დანერგვის შესაძლებლობა და შეიმუშაოს დანამატების გაცემის კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს დანამატების დასაბუთებულობის შესახებ კომპანიის შინაგანაწესის მოთხოვნის დაკონკრეტებას და დანამატების აუცილებლობისა და ერთ ზეგანაკვეთურ საათზე გასაცემი მოცულობის მკაფიოდ განსაზღვრას.

რეკომენდაცია №9**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“:**

სახსრების ეკონომიურად და გამჭვირვალედ განკარგვის მიზნით, დადგენილი წესით აბონემენტების უფასოდ გაცემის შემთხვევაში, შპს „მთის კურორტების

განვითარების კომპანია“ დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ხარჯების მიზნობრიობისა და საჭიროების განსაზღვრას.

რეკომენდაცია №10

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“:

საღაროში არსებული ნაშთების უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ განსაზღვროს და საღაროს დებულებაში ასახოს სამუშაო დღის ბოლოს საღაროებში ნაღდი ფულის ლიმიტები.

რეკომენდაცია №11

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“:

დიზელის რეზერვუარიდან საწვავის გაცემის მიზნობრიობის უზრუნველსაყოფად და საწვავის ხარჯვის სრულყოფილი აღრიცხვის მიზნით, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ შეიმუშაოს დიზელის რეზერვუარებიდან საწვავის გაცემის ინსტრუქცია, სადაც გაწერილი იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული საწვავის აღრიცხვის წესი.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ 2018-2019 წლების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა შპს „საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ საქმიანობის შემდეგი მიმართულებები:

- განვითარების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ბიზნესგეგმები;
- კომპანიის პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელების პროცესი;
- შემოსავლების ფორმირება;
- განხორციელებული შესყიდვები;

- ქონების მართვის პროცესი;
- მოთხოვნების და ვალდებულებების მართვა;
- ფულადი სახსრების განკარგვის პროცესი, კერძოდ: შრომის ანაზღაურება, ჯარიმები, სხვა ხარჯები და სალაროს ოპერაციები;
- საწვავის განკარგვა;
- პროექტების/პროგრამების შესრულების მდგომარეობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტის საგნით გათვალისწინებული საქმიანობა 2018-2019 წლებში.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 ივნისის №266 დადგენილება „შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 29 დეკემბრის №1/1-4136 ბრძანებით დამტკიცებული შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ წესდება;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 7 თებერვლის №1/1-219 ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 2 თებერვლის №1/1-284 ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების, ბიზნესგეგმების პროექტების და წლიური ანგარიშგებების შემუშავების, წარდგენის, განხილვისა და გამოქვეყნების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილება „სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 1 თებერვლის №1-1/50 ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული

- ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №390 დადგენილება „ქონების მმართველის უფლებამოსილებებისა და მათი განხორციელების წესისა და ფორმის დადგენის შესახებ“;
 - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
 - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
 - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
 - ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო სახელმძღვანელო პრინციპები სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის შესახებ;
 - სხვა კრიტერიუმები (მითითებულია ძირითად ტექსტში).

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებელისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსაზრადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

ძირითადი აუდიტორული პროცედურები, გამოკითხვა, შემოწმება, ხელახალი გაანგარიშება, ანალიტიკური პროცედურები, ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან, დაკვირვება, დოკუმენტური დათვალიერება, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“² შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოს. კომპანიის წილის 100%-ის მფლობელი და პარტნიორია სახელმწიფო.³ პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

კომპანიის საქმიანობის მიზნებია: სამთო-სათხილამურო კურორტების მოვლა-პატრონობა, ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური, მარკეტინგული და სხვა მიმართულებებით უზრუნველყოფა, კურორტების ტურისტული

² ს/კ 215096367.

³ კომპანიის წესდების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

პოტენციალის ამაღლება და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა. 2016 წლის დეკემბერში კომპანიას მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მფლობელობაში არსებული შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ 100%-იანი წილი. 2018 წლის ბოლოს განხორციელდა შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ შერწყმა კომპანიასთან.⁴ შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება,⁵ ხოლო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს დირექტორი. აუდიტის პერიოდში კომპანია მართავდა ბაკურიანის, გუდაურის, გოდერძის, ჰაწვალის და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტებს.

⁴ [https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFCrjIWhx52xy2XdIgX\]fYC\[i\]o\]wa\]I9p7kK\[pWXUdiK](https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFCrjIWhx52xy2XdIgX]fYC[i]o]wa]I9p7kK[pWXUdiK)

⁵ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო და კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შემქნილ საწარმოებში პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებელია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 კომპანიის სტრატეგია და გეგმები

2.1.1 კომპანიის განვითარების სტრატეგიის არარსებობა

კრიტერიუმი:	კომპანიის დირექტორმა პარტნიორთან შეთანხმებით უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის მიზნებისა და სამომავლო ამოცანების მიხედვით პრიორიტეტების განსაზღვრა და სტრატეგიული გეგმების შემუშავება. ⁶ სტრატეგიის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის არსებობა.
ფაქტობრივი გარემოებები:	აუდიტის ჯგუფმა გამოითხოვა კომპანიის სტრატეგიის, მიზნების, ამოცანების ამსახველი დოკუმენტები და 2018-2019 წლების საქმიანობის სამოქმედო გეგმა, თუმცა კომპანიის და სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით არ დასტურდება 2018-2019 წლებში კომპანიის სტრატეგიული განვითარების გეგმის არსებობა.
დასკვნა	2018-2019 წლებში კომპანიას არ გააჩნდა პარტნიორთან შეთანხმებული და ოფიციალურად დამტკიცებული სტრატეგიის დოკუმენტი და მის განსახორციელებლად საჭირო სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, შეუძლებელია აუდიტის პერიოდში კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობის კომპანიის სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის შეფასება წინასწარ განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების მიხედვით. ამასთანავე, აუდიტის პერიოდში არ დასტურდება კომპანიის სტრატეგიის შემუშავებისთვის ქმედითი აქტივობები.
რეკომენდაცია № 1	სამთო კურორტების განვითარებისთვის კომპანიის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანების სათანადო დაგეგმვის, კომპანიის საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების გამართული სისტემის დანერგვის უზრუნველსაყოფად, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, სსიპ – ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შეიმუშაოს და დაამტკიცოს კომპანიის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიის მიზნების, ამოცანების, მათი შესრულების შეფასების ინდიკატორების და ვადების მითითებით.

⁶ წესდების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

2.1.2 ბიზნესგეგმებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:

სააგენტოს ვალდებულებას წარმოადგენს საწარმოების ბიზნესგეგმების დამტკიცება⁷ და მათი შესრულების მიმდინარეობის კონტროლი.⁸ სააგენტო ასევე უნდა უზრუნველყოფდეს დამტკიცებული ბიზნესგეგმის მიმდინარე და საბოლოო შესრულების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვასა და ანალიზს.⁹ ბიზნესგეგმის პროექტის დამტკიცება და საჭიროების შემთხვევაში დამტკიცებული ბიზნესგეგმის კორექტირება უნდა ხდებოდეს სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.¹⁰ კომპანიის დირექტორმა პარტნიორს უნდა წარუდგინოს ექვსი თვის და წლის ანგარიშები ბიზნესგეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.¹¹

ფაქტობრივი გარემოებები:

კომპანიამ წარმოადგინა ბიზნესგეგმებთან დაკავშირებული სხვადასხვა ტექსტური დოკუმენტი, ასევე საპროგნოზო და ფაქტობრივ მონაცემთა შეგროვების ფორმები.¹² ზემოაღნიშნული დოკუმენტები სააგენტოს მიერ დამტკიცებული არ არის, ხოლო წარმოდგენილი ფორმების ნაწილი სრულად არ შეიცავს ამავე ფორმებით გათვალისწინებულ შინაარსობრივ მონაცემებს.¹³

კომპანიის 2018 წლის ბიზნესგეგმის პროექტი სააგენტოში გადაგზავნილია, ხოლო 2019 წლის ბიზნესგეგმის სააგენტოსთვის წარდგენის ფაქტი არ დასტურდება.

თავის მხრივ, სააგენტოს მიერ აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საპასუხოდ წარმოდგენილ დოკუმენტებში¹⁴ არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სააგენტოს მხრიდან კომპანიის მიერ წარდგენილი ბიზნესგეგმების და მათში განხორციელებული კორექტირების განხილვის და დამტკიცების ფაქტს.¹⁵ ასევე, კომპანიამ და სააგენტომ ბიზნესგეგმების შესრულების მიმდინარეობის კონტროლის დამადასტურებელი დოკუმენტები და ბიზნესგეგმების შესრულების შესახებ პერიოდული ანგარიშები ვერ წარმოადგინეს.

კომპანიის 2018-2019 წლების ბიზნესგეგმების პროექტების შინაარსი სტრუქტურული თვალსაზრისით შეესაბამება სააგენტოს ბრძანების¹⁶

⁷ სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ.ბ“ ქვეპუნქტი.

⁸ წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი.

⁹ სააგენტოს დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰ სააგენტოს 2017 წლის 2 თებერვლის №1/1- 284 ბრძანება.

¹¹ წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹² სახელმწიფო საწარმოების მიერ შესავსები აღნიშნული ფორმები დამტკიცებულია სააგენტოს №1/1-284 ბრძანებით.

¹³ მაგალითად, ბიზნესგეგმის ელ. ფორმებში გამოტოვებულია ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა, საბალანსო ანგარიშგების აღწერა, გრძელვადიანი აქტივების აღწერა, წარმოებული პროდუქციის კალკულაცია და საშტატო განრიგი. კომპანიის განმარტებით სააგენტოში გაგზავნილ ფორმებში ვერ ივსება ინფორმაცია კომპანიის აქტივების შესახებ, მოცულობიდან გამომდინარე, შესაბამისი ინფორმაცია იგზავნება დამატებით, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში. ასევე სპეციფიკის გამო, საშტატოს ცხრილი არ გადადის აღნიშნულ ფორმებში და იგზავნება დამატებით ბიზნესგეგმასა და ანალიტიკურ ცხრილებთან ერთად.

¹⁴ წარმოდგენილია 2020 წლის 27 ნოემბრის წერილით.

¹⁵ კომპანიის 2018 წლის 2 ივლისის № 01/370 წერილით სააგენტოს წარედგინა 2018 წლის შეცვლილი ბიზნესგეგმა, თუმცა სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კორექტირებული ბიზნესგეგმის განხილვა-დამტკიცება არ დასტურდება.

¹⁶ სააგენტოს 2017 წლის 2 თებერვლის №1/1-284 ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების, ბიზნესგეგმების პროექტების და წლიური ანგარიშგებების შემუშავების, წარდგენის, განხილვისა და გამოქვეყნების შესახებ“.

მოთხოვნებს, თუმცა შეიცავს ცალკეულ უზუსტობას. მაგალითად, 2018 წლის ბიზნესგეგმის პროექტის V ნაწილის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ „კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტრო“, მაშინ როდესაც, კანონმდებლობის და საწარმოს წესდების შესაბამისად, აღნიშნული სააგენტოს უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამავე ნაწილის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ დირექტორის უფლებამოსილებები და საკუთრებო სფეროები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით, მაშინ როდესაც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება ასევე სააგენტოს უფლებამოსილებას განეკუთვნება.

დასკვნა

კომპანიის 2018-2019 წლების ბიზნესგეგმები არ იყო დამტკიცებული კანონმდებლობის და კომპანიის წესდების შესაბამისად. ასევე, კომპანიაში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა პარტნიორის მიერ კომპანიის ბიზნესგეგმების შეთანხმების/მოწონების ფაქტს. შესაბამისად, შეუძლებელია აუდიტის პერიოდში კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება პარტნიორთან შეთანხმებული წინასწარ განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების მიხედვით.

2.2 პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება

2.2.1 პარტნიორის მიერ კომპანიის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის ნაკლოვანებები

კომპანიის პარტნიორია სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებას ახორციელებს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

კრიტერიუმი:

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება¹⁷ სააგენტოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა და საჭიროა აღნიშნული მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ აგრეგირებული ინფორმაცია სააგენტოს წლიურ ანგარიშში აისახოს. ეთგო-ს სახელმძღვანელო სარეკომენდაციო პრინციპები¹⁸ ითვალისწინებს სახელმწიფო საწარმოებში პარტნიორის ფუნქციის განმახორციელებელი ორგანოს მიერ წლიური ანგარიშის გამოქვეყნებას, რომელიც შეაჯამებს საწარმოების საქმიანობას.¹⁹ ასევე სათანადო ვებგვერდის არსებობის

¹⁷ სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁸ OECD Guidelines on Corporate Governance of State-Owned Enterprises 2015; მე-6 სახელმძღვანელო პრინციპი - გამჭვირვალობა. ეთგო-ს აღნიშნული რეკომენდაციების მიზანია სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება და ადგენს საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ სტანდარტს, როგორც უნდა შეასრულოს სახელმწიფო პარტნიორის/აქციონერის როლი.

¹⁹ OECD Guidelines on Corporate Governance of State-Owned Enterprises 2015; გვ.25 - „პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებელმა დაწესებულებამ უნდა განავითაროს სახელმწიფო საწარმოების შესახებ თანმიმდევრული რეპორტიინგი და ყოველწლიურად გამოაქვეყნოს მათ შესახებ აგრეგირებული ანგარიშები. კარგი პრაქტიკა მოითხოვს ინტერნეტზე დაფუძნებულ კომუნიკაციას ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად“.

შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოების შესახებ ინფორმაცია მარტივად უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის.²⁰

ფაქტობრივი გარემოებები:

სააგენტოს 2018-2019 წლების²¹ ანგარიშებში ხაზგასმულია სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია – სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა, თუმცა ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას, რამდენად სრულყოფილად ასრულებს სააგენტო აღნიშნულ ფუნქციას, კერძოდ:

სააგენტოს მიერ შედგენილი 2018 და 2019 წლების წლიური ანგარიშებიდან არ იკვეთება სახელმწიფოს, როგორც აქტიური პარტნიორის როლი და ანგარიშები არ მოიცავს საკმარის ინფორმაციას,²² რამდენად, რა მოცულობით და როგორ შეასრულა სააგენტომ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის უფლებამოსილებები.

ასევე, სააგენტოს მიერ კომპანიის შესახებ სხვადასხვა საშუალებით გამოქვეყნებულ ინფორმაციაში გამოიკვეთა ცალკეული ფაქტობრივი შეუსაბამობები, მათ შორის:

- სააგენტოს ვებგვერდზე²³ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში „ბიზნესის შესახებ“.²⁴
- ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სააგენტოს მართვაში არსებული 96 საწარმოს სიაში, რომელიც, მათ შორის, მოიცავს კომპანიის შესახებ მონაცემებს.²⁵
- www.data.gov.ge-ზე კომპანიის შესახებ განთავსებულ ინფორმაციაში.²⁶

დასკვნა

სააგენტოს მიერ შედგენილი 2018 და 2019 წლების წლიური ანგარიშებიდან არ იკვეთება მისი, როგორც აქტიური პარტნიორის როლი. ანგარიშები არ მოიცავს საკმარის ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენად, რა მოცულობით და როგორ შეასრულა სააგენტომ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის უფლებამოსილებები.

სააგენტოს მიერ სახელმწიფო საწარმოს შესახებ აგრეგირებული და გამოქვეყნებული ინფორმაციის ნაკლოვანებები მიუთითებს გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სისრულის და სისწორის კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე და ვერ უზრუნველყოფს განახლებული ინფორმაციის გასაჯაროებას სახელმწიფო საწარმოების შესახებ.

რეკომენდაცია №2

დაინტერესებული პირებისათვის სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის გამჭვირვალობის ინსტრუმენტის შექმნისა და საქმიანობის შეფასების

²⁰ ეთგო-ს მე-6 სახელმძღვანელო პრინციპი.

²¹ 2018 წლის წლიური ანგარიში - https://drive.google.com/file/d/1eO-nLv1-kaUCPcc5T2E_7liMMUcu6czC/view; 2019 წლის წლიური ანგარიში - https://drive.google.com/file/d/1N_1Ppg3Ir_EdWkfMCETCjU99yKkFxfjxP/view

²² კერძოდ, სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებით ანგარიშებში შეტანილია ინფორმაცია საწარმოების ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის მიმდინარეობასთან, რამდენიმე ტრენინგთან, ინვენტარიზაციის გეგმებთან და საწარმოების მიერ ეთიკის კოდექსის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

²³ www.nasp.gov.ge

²⁴ 98-გვერდიანი დოკუმენტი: <https://drive.google.com/file/d/1f-oheNVyAxufVBAO7Q2F1xJlVwJX70nI/view> გვ.41; მასში კომპანიის დირექტორად მითითებულია წინა დირექტორი.

²⁵ „საწარმოების ბოლო სია 2020“ - <https://drive.google.com/file/d/0B3vgM3IEWoh4OUhYb25GQnJZTU0/view>; კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად მითითებულია წინა დირექტორი.

²⁶ სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვებგვერდზე განთავსებულია „საწარმოთა სია“ - 2015 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით (<https://www.data.gov.ge/DataSets/Browse/7e8b4cc0-b9e0-4f19-aa9e-f8a8af5785ad>). დოკუმენტი აერთიანებს 114 სახელმწიფო საწარმოს შესახებ ინფორმაციას, ხოლო კომპანიასთან მიმართებით მასში შეტანილია არაზუსტი მონაცემები. კერძოდ, საწარმოს სახელწოდებად მითითებულია „მთის კურორტების განვითარების სააგენტო“; საქმიანობის სფეროდ - „მშენებლობა“; იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართად: თბილისი, ჭანტურიას №12; საკონტაქტო პირად - წინა დირექტორი.

შესაძლებლობის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განავითაროს სახელმწიფო საწარმოების შესახებ ინფორმაციის აგრეგირებისა და წლიური რეპორტირების სისტემა, რომელიც მათ შორის, უზრუნველყოფს სააგენტოს, როგორც სახელმწიფო საწარმოების პარტნიორის მიერ ყოველწლიურად განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის სისრულეს და ხელმისაწვდომობას;

ასევე, მომხმარებლებისთვის საიმედო და განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, სააგენტომ უზრუნველყოს მის მიერ გამოსაქვეყნებელი მონაცემების სისწორის კონტროლის მექანიზმების გაძლიერება და გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლება გონივრული პერიოდულობით.

2.2.2 პარტნიორის არასათანადო ჩართულობა

კრიტერიუმი:

სააგენტოს მიერ ან/და მისი ჩართულობით, ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით, უნდა მიიღებოდეს სააგენტოს დებულებით და კომპანიის წესდებით განსაზღვრული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- წლიური შედეგების დამტკიცება;²⁷
- საწარმოების ბიზნესგეგმების, ასევე მათი კორექტირებების დამტკიცება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით;²⁸
- ბიზნესგეგმის შესრულების მიმდინარეობის კონტროლი;²⁹
- საწარმოსათვის დამტკიცებული ბიზნესგეგმის მიმდინარე და საბოლოო შესრულების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვა და ანალიზი;³⁰
- სააგენტოში წარმოდგენილი ბიზნესგეგმების პროექტების ფინანსური ანალიზი და მათი დამტკიცების მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება;³¹
- იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მიერ წარმოდგენილი ბიზნესგეგმის პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ბრძანებით მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი მასალები და განმარტებები ან დაუბრუნოს ბიზნესგეგმის პროექტი საწარმოს გადასამუშავებლად.³²

ფაქტობრივი გარემოებები:

- I. აუდიტის შედეგად არ დასტურდება სააგენტოს მიერ იმ უფლებამოსილებების განხორციელება, რაც მათი შინაარსის გათვალისწინებით, როგორც კომპანიის პარტნიორს უნდა განეხორციელებინა 2018-2019 წლებში, მათ შორის, წლიური შედეგების და საწარმოების ბიზნესგეგმების დამტკიცება, ბიზნესგეგმის

²⁷ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი; წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი.

²⁸ სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ.ბ“ ქვეპუნქტი.

²⁹ წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი.

³⁰ სააგენტოს დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

³¹ სააგენტოს დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

³² სააგენტოს 2017 წლის 2 თებერვლის №1/1-284 ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების, ბიზნესგეგმების პროექტების და წლიური ანგარიშგებების შემუშავების, წარდგენის, განხილვისა და გამოქვეყნების შესახებ“.

შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, სააგენტოში წარმოდგენილი ბიზნესგეგმების პროექტების ფინანსური ანალიზი და სხვ.

- II. სააგენტოს დებულების და კომპანიის წესდების შემდეგი ჩანაწერები ურთიერთშეუსაბამოა: დებულების მიხედვით,³³ სააგენტოს, როგორც პარტნიორის უფლებამოსილებაა – „საწარმოების ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის, ჩამოწერის, გაყიდვის, გაცვლის, ასევე გირავნობის/იპოთეკის თაობაზე და შესაბამისი წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანხმობის გაცემა“, ხოლო წესდების მიხედვით,³⁴ პარტნიორის უფლებამოსილებას წარმოადგენს „უძრავი ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების საფუძველზე გაცემა, გასხვისება, დატვირთვა, აგრეთვე უძრავი ქონების ჩამოწერა“. ამდენად, წესდების შესაბამისად, სააგენტო ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგენს არა თანხმობის გამცემ, არამედ გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს, რაც არ შეესაბამება სააგენტოს დებულებას.

კომპანიის განმარტებით, ორივე ჩანაწერის არსებობის პირობებშიც კონკრეტული მოქმედების განხორციელებაზე პარტნიორის ნების გამოვლენა ორივე ჩანაწერის შემთხვევაშია გათვალისწინებული. შესაბამისად, აღნიშნული პროცედურული შეუსაბამობა შედეგებზე რაიმე გავლენის მომხდენი ვერ იქნება.

დასკვნა

არ დასტურდება სააგენტოს მიერ მისთვის კანონმდებლობით (და მისივე ბრძანებით) განსაზღვრული ცალკეული პასუხისმგებლობის შესრულება, მათ შორის, წლიური შედეგების და საწარმოების ბიზნესგეგმების დამტკიცება, ბიზნესგეგმის შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, სააგენტოში წარმოდგენილი ბიზნესგეგმების პროექტების ფინანსური ანალიზი და სხვ.

კომპანიის წესდების ფორმულირება, კომპანიის პარტნიორის უფლებამოსილების კონტექსტში, ნაწილობრივ არ შეესაბამება სააგენტოს დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

რეკომენდაცია №3

კომპანიის წესდების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყონ კომპანიის წესდების შინაარსის განახლება და მისი მიღებისთვის აუცილებელი პროცედურების ჩატარება.

2.2.3 პარტნიორის გადაწყვეტილებების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:

სააგენტოს დებულება, კომპანიის წესდება და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაც კომპანიას შეუძლია მხოლოდ პარტნიორის თანხმობით. ამასთანავე, ყველა

³³ სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ.ზ“ ქვეპუნქტი.

³⁴ წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი.

გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობას, საჭიროებს პარტნიორის გადაწყვეტილებას.³⁵

ფაქტობრივი გარემოებები:

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ სააგენტო საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, რიგ შემთხვევებში თავს იკავებს კონკრეტული პოზიციის დაფიქსირებისგან ან თანხმობის გაცემისაგან. მაგალითად:

1. კომპანიამ თანხმობის მისაღებად მიმართა სააგენტოს³⁶ ფარების რეკონსტრუქციის შედეგად დარჩენილი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ნაწილებისა და სამშენებლო მასალების ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ. სააგენტომ პასუხად მიუთითა,³⁷ რომ კომპანიას ემოქმედა საკუთარი ინტერესების და №1-1/50 ბრძანების³⁸ შესაბამისად.
2. კომპანიამ თანხმობის მისაღებად მიმართა სააგენტოს³⁹ 18,199,185 ლარის სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხად მიღების თაობაზე. სააგენტომ პასუხად მიუთითა,⁴⁰ რომ კომპანიას ემოქმედა საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასკვნა

კომპანიის წერილებში აღნიშნული საკითხები, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვადასხვა საფუძვლის გათვალისწინებით, მოითხოვდა სააგენტოსთან შეთანხმებას, თუმცა აღნიშნულ წერილებთან დაკავშირებით სააგენტოს პასუხები თავისი შინაარსით არ წარმოადგენს რაიმე ტიპის გადაწყვეტილებას – თანხმობას ან უარს, ან ერთმნიშვნელოვან პოზიციას პარტნიორის უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომპანიის ზემოაღნიშნულ მიმართებებზე სააგენტომ არასრულფასოვნად განახორციელა სახელმწიფო საწარმოს პარტნიორისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებები.

2.3 შემოსავლების ფორმირება

2018-2019 წლებში კომპანიამ მიიღო 28.4 მლნ ლარის ოდენობის საოპერაციო შემოსავალი. საბაგროებით სარგებლობისთვის ბილეთების/აბონემენტების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანი შემოსავლების 94%⁴¹ შეადგინა.⁴²

³⁵ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-7 პუნქტი.

³⁶ წერილი №01/303, 15/04/2019.

³⁷ წერილი №5/30821, 23.05.2019.

³⁸ „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 1 თებერვლის №1-1/50 ბრძანება.

³⁹ წერილი №01/484, 17/09/2018.

⁴⁰ წერილი №15/53629, 26.09.2018.

⁴¹ 26.6 მლნ ლარი.

⁴² ინფორმაციის წყაროა 2018 და 2019 წლების ბიზნესგეგმების შესრულების მაჩვენებლები.

ცხრილი №1. კომპანიის საოპერაციო შემოსავლები

დასახელება	2018 წელი	2019 წელი	სულ
საოპერაციო შემოსავლები	12,881,561	15,512,049	28,393,610
ბილეთების და აბონემენტების რეალიზაცია	12,027,722	14,601,790	26,629,512
იჯარა ⁴³	401,201	392,864	794,065
სხვა ⁴⁴	452,638	517,395	970,033

2.3.1 ბარათების აღრიცხვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:

პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად:⁴⁵ კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშების ბრუნვებისა და ნაშთების ყოველთვიური გამოყვანა;

სამეურნეო ოპერაცია აღირიცხება პირველად დოკუმენტში, რომელიც უნდა შედგეს სამეურნეო ოპერაციის განხორციელების მომენტში და მასში შეიტანება შემდეგი რეკვიზიტები: დასახელება, შედგენის თარიღი, ოპერაციის შინაარსი, განზომილება, მონაწილე პირთა დასახელება, პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები;

ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს საწარმოში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა.

ფაქტობრივი გარემოებები:

საკურორტო სეზონისათვის საჭირო ბარათების⁴⁶ მიღება წარმოებს კომპანიის თბილისის ოფისში, საიდანაც ნაწილდება ბაკურიანის, გუდაურის, გოდერძის, ჰაწვალის და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტებზე. აუდიტის პერიოდში კომპანიაში ბარათების მიღება განხორციელდა 2018-2019 წლებისა და 2019-2020 წლების სამთო-სათხილამურო სეზონებისათვის და 2018 წლის ზაფხულის სეზონისათვის.⁴⁷ ბარათების მიღებასა და დასაწყობებაზე პასუხისმგებელია ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სამსახური, ხოლო მისგან ბარათების მიღებასა და კურორტებზე მოლარეებისათვის გადაცემაზე – საფინანსო სამსახური.⁴⁸

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სამთო-სათხილამურო კურორტებზე გადანაწილებული ბარათები მიღებული ჰქონდათ კურორტებზე არსებულ ბარათების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელ პირებს: ბაკურიანის კურორტზე – ბუღალტერს, ჰაწვალის და თეთნულდის კურორტებზე – უფროს მოლარეს,

⁴³ მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემა სხვადასხვა საჭიროებისათვის (სავაჭრო და კვების ობიექტების, საბავშვო-გასართობი სივრცეების, ფოტოს გადასაღები ჯიხურების მოსაწყობად და სხვ.).

⁴⁴ ძირითადად - შემოსავლები რეკლამების განთავსებიდან და ინვენტარის გაქირავებიდან.

⁴⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ“, მუხლები: 6, 7, 15.

⁴⁶ მყიდველის შეკვეთიდან გამომდინარე, ხორციელდება ბარათზე შესაბამისი ინფორმაციის შეყვანა, რის შემდეგაც იგი ბილეთის/აბონემენტის სახით რეალიზდება. აღნიშნულ ბარათებს შეკვეთით აშუადებს ავსტრიული კომპანია Skidata.

⁴⁷ 2019 წლის ზაფხულის სეზონისთვის კომპანიამ გამოიყენა ბარათების არსებული ნაშთი.

⁴⁸ სამუშაოს აღწერილობის შესაბამისად.

გოდერძის კურორტზე - მოლარეს. რაც შეეხება კურორტ გუდაურს, კომპანიის ფინანსური სამსახურის უფროსის მოადგილის განმარტებით, კურორტზე ბარათები მის მიერ გადაცემულია უშუალოდ მოლარეებზე მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების გარეშე.

სათავო ოფისის საწყობსა და კურორტებზე 2018-2019 წლებში არ ჩატარებულა ბარათების ინვენტარიზაცია, რაც საჭირო იყო მათი ფაქტობრივი და სააღრიცხვო რაოდენობების შესაბამისობის დასადგენად.

დასკვნა

კურორტ გუდაურის მოლარეებზე ბარათების გადაცემა წარმოებს დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების გარეშე. ამასთანავე, არ ტარდება მათი ინვენტარიზაცია. შესაბამისად, არასათანადო კონტროლის მექანიზმების პირობებში, კომპანიაში ბარათების აღრიცხვის პროცესი ნაკლებად გამჭვირვალეა.

2.3.2 ფასწარმოქმნის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:

კომპანიის დირექტორის ბრძანებებით⁴⁹ ყოველწლიურად მტკიცდება სამთო-სათხილამურო კურორტების აბონემენტების კატეგორიები,⁵⁰ ტიპები⁵¹ და შესაბამისი პერიოდის ფასები.

ფაქტობრივი გარემოებები:

კომპანიაში არ არის დადგენილი ფასწარმოქმნის პრინციპები, ვერ იქნა წარმოდგენილი დამტკიცებული ფასების გაანგარიშებები, აგრეთვე ფასებში ცვლილებების შეტანის საფუძვლები. მიღებული განმარტებით, ღირებულებების განსაზღვრისას მეტი პრიორიტეტი ენიჭება სოციალურ ფაქტორებს, ვიდრე მოგებაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს. ამასთანავე, ვერ იქნა წარმოდგენილი სოციალური ფაქტორების განმსაზღვრელი პრინციპები.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა დამტკიცებული ფასების გამოყენების სისწორე.⁵² ბაკურიანსა და სვანეთის კურორტებზე (ჰაწვალი, თეთნულდი) გამოვლინდა ბილეთების/აბონემენტების დამტკიცებულზე მაღალ ფასად რეალიზების შემთხვევები. ფასთა სხვაობამ ჯამში შეადგინა 14,610 ლარი.

კომპანიის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო ტექნიკური მიზეზებით.

დასკვნა

კომპანიაში არ არსებობს მომსახურების ფასების გაანგარიშების პოლიტიკა და მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სოციალური, ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. ამასთანავე, ინფორმაციის მიწოდებაზე სათანადო კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში ბილეთები რეალიზებული იყო დადგენილი ტარიფებისგან განსხვავებული ფასებით. კომპანიაში ფასების გაანგარიშების პოლიტიკისა და მეთოდოლოგიის არარსებობა შესაძლოა

⁴⁹ კომპანიის დირექტორის ბრძანებები: №368, 22.08.2017; №545, 8.11.2018; №683, 23.09.2019.

⁵⁰ ზრდასრულთა და საბავშვო.

⁵¹ ერთჯერადი, მრავალჯერადი, სეზონური.

⁵² აუდიტორული შერჩევის საფუძველზე გაანალიზდა ყველაზე მეტად დატვირთული თვეები: 2018 და 2019 წლების იანვარი და თებერვალი.

უარყოფითად აისახოს კომპანიის შემოსავლების ფორმირებასა და ფინანსურ შედეგებზე.

რეკომენდაცია №4

კომპანიის შემოსავლების ეფექტიანი მართვისათვის, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ შეიმუშავოს კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა და მეთოდოლოგია, სადაც სოციალურ მიზნებთან ერთად გათვალისწინებული იქნება ასევე კომპანიის ეკონომიკური მიზნები.

2.3.3 აბონემენტების უფასოდ გაცემის პროცესის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:

აბონემენტების უფასოდ გაცემასთან დაკავშირებით კომპანიაში შექმნილია სამთო-სათხილამურო კურორტებზე საბაგიროს აბონემენტების უფასოდ და შეღავათიანი ფასით გაცემის, საბაგიროს აბონემენტებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია, რომლის საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესები დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელის მიერ.⁵³ კომისიის გადაწყვეტილებები,⁵⁴ რიგ შემთხვევებში⁵⁵ ითვალისწინებდა, აბონემენტების უფასოდ გადაცემისას ჩუქების ხელშეკრულებების გაფორმებას.

ფაქტობრივი გარემოებები:

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2018-2019 წლებისა და 2019-2020 წლების სამთო-სათხილამურო სეზონებზე საბაგიროს აბონემენტების ორგანიზაციებზე უფასოდ გადაცემის ფაქტების შესაბამისობა კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან. აღნიშნული სეზონებისთვის სხვადასხვა დაწესებულებაზე უფასოდ გადაცემულია 1,670,374 ლარის ღირებულების 3,813 აბონემენტი.⁵⁶

ცხრილი №2. ინფორმაცია სხვადასხვა ორგანიზაციაზე უფასოდ გადაცემული აბონემენტების შესახებ

აბონემენტების მიმღები	გაცემის მიზნობრიობა	რაოდ.
მუნიციპალიტეტები	მოთხილამურე მოსახლეობისათვის.	2,708
თავდაცვის სამინისტრო	სამთო მომზადების კურსები.	330
შინაგან საქმეთა სამინისტ.	სამთო მომზადების კურსები.	163
საგარეო საქმეთა სამინისტ.	დიპლომატიური სათხილამურო შეჯიბრი.	120

⁵³ დირექტორის ბრძანებები: №856, 21.12.2018; №861, 6.12.2019.

⁵⁴ კომისიის სხდომის ოქმები: №1, 10.12.2018; №2019-2020/1, 2.12.2019.

⁵⁵ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება გათვალისწინებული იყო დუშეთის, ყაზბეგის, ბორჯომის, მესტიის, ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებისთვის, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, თავდაცვის სამინისტროსა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის აბონემენტების უსასყიდლოდ გადაცემის დროს.

⁵⁶ 2018 და 2019 წლების ზაფხულის სეზონებისათვის აბონემენტები უფასოდ არ გაცემულა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მოქმედი და ვეტერანი მოთხილამურე სპორტსმენებისათვის, სამინისტროს თანამშრომლებისათვის.	137
სათხილამურო ფედერაცია	საერთაშორისო შეჯიბრებების ჩასატარებლად, მოქმედი და ვეტერანი მოთხილამურე სპორტსმენებისათვის.	318
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კომისიის გადაწყვეტილებაში მიზნობრიობა მითითებული არ არის.	12
სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო გამყოლი“.	25
სულ:		3,813

კომისიის გადაწყვეტილებებით,⁵⁷ ბორჯომის, დუშეთის, ყაზბეგის, მესტიისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებს, ადგილობრივი მოთხილამურე მოსახლეობისათვის უფასოდ გადაეცემოდათ შესაბამისი კურორტების სეზონური სახელობითი აბონემენტები. ზოგიერთ შემთხვევაში, აბონემენტების მუნიციპალიტეტებზე უფასოდ გადაცემისას არ არის შესრულებული კომისიის ზემოხსენებული გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნები, კერძოდ, ხუთ შემთხვევაში 1,244 აბონემენტზე კომპანიასა და მერიას შორის არ გაფორმებულა ჩუქების ხელშეკრულება.

გარდა მუნიციპალიტეტების მერიებისა, აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში აბონემენტები უსასყიდლოდ გადაეცათ⁵⁸ სხვა ორგანიზაციებსაც, რომელთაგან სამ შემთხვევაში, ჯამში – 330 აბონემენტის ჩუქების ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული. აქედან ერთ შემთხვევაში, საქართველოს სათხილამურო ფედერაციაზე, 195 აბონემენტი გადაცემულია კომისიის გადაწყვეტილების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ კომისიის გადაწყვეტილებებში არ ფიქსირდება უფასოდ გასაცემი აბონემენტების რაოდენობა, განისაზღვრება მხოლოდ აბონემენტების უფასოდ მიმღები სუბიექტების ჩამონათვალი. ცალკეული ორგანიზაცია-დაწესებულებისათვის უფასოდ გასაცემი აბონემენტების რაოდენობა განისაზღვრება მათთან გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებებით.

12 შემთხვევაში აბონემენტები გადაცემულია ჩუქების ხელშეკრულების დადებამდე, ხოლო 17 შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია სეზონის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ.

რიგ შემთხვევებში უფასოდ გადაცემულ აბონემენტებზე არ ფიქსირდებოდა მფლობელის ვინაობა. სახელობითი აბონემენტების რაოდენობა, რომლებზეც არ იქნა დატანილი მფლობელის ვინაობა, აუდიტის პერიოდში შეადგენს 493 ერთეულს. კომპანიის განმარტებით, აბონემენტებზე მფლობელის ვინაობა არ დაფიქსირდა ზოგიერთი დასაჩუქრებული ორგანიზაციის მოთხოვნით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის დამტკიცებული კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესები არის ზოგადი. ერთადერთი კრიტერიუმი, რომლის მიხედვით აბონემენტები გაიცემა უფასოდ, ფორმულირებულია

⁵⁷ კომისიის სხდომის ოქმები: №1, 10.12.2018; №2019-2020/1, 2.12.2019.

⁵⁸ მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

შემდეგნაირად: „კომისიის გადაწყვეტილება სასრილო აბონემენტების უფასოდ ან/და შეღავათიანი ფასით გაცემის შესახებ უნდა ემსახურებოდეს სამთო-სათხილამურო სპორტისა და კომპანიის მართვაში არსებული სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარებისა და პოპულარიზაციის, ასევე სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მიზანს. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, კომისია ყოველ კონკრეტულ საქმეზე კონკრეტული გარემოებების შეფასებისა და შეჯერების საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.“

დასკვნა

აბონემენტების უფასოდ ან/და შეღავათიანი ფასით გაცემის შესახებ კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესები არის ზოგადი და იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთანავე, გადაწყვეტილებებში არ ფიქსირდება უფასოდ გასაცემი აბონემენტების რაოდენობა. აღნიშნული რაოდენობები დგინდება ჩუქების ხელშეკრულებების ხელმოწერი პირების მიერ. რიგ შემთხვევებში ჩუქების ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული და გაურკვეველია გადასაცემი აბონემენტების რაოდენობის დამდგენ პირთა ვინაობა.

რამდენიმე შემთხვევაში უფასოდ გადაცემულ სახელობით აბონემენტებზე არ ფიქსირდება მფლობელის ვინაობა, რაც ართულებს მათი გამოყენების კონტროლს და წარმოშობს აბონემენტების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების რისკს.

აბონემენტების უფასოდ გაცემის პროცესი არ არის გამჭვირვალე, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №5

აბონემენტების უფასოდ გაცემის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ შეიმუშაოს „სამთო-სათხილამურო კურორტებზე საბაგიროს აბონემენტების უფასოდ და შეღავათიანი ფასით გაცემის, საბაგიროს აბონემენტებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის“ საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესების ახალი რედაქცია, რითაც დადგინდება აბონემენტების უფასოდ და შეღავათიანი ფასებით გაცემის კრიტერიუმები და განისაზღვრება გადასაცემი აბონემენტების კატეგორიები, ტიპები და რაოდენობები.

რეკომენდაცია №6

კომპანიამ მარეგულირებელი კანონმდებლობის გათვალისწინებით შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები, რითაც სხვა საკითხებთან ერთად განისაზღვრება ბარათების სარეალიზაციოდ და აბონემენტების/ბილეთების უსასყიდლოდ გადაცემისას შესადგენი პირველადი დოკუმენტები, მათი გაფორმებისა და ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის ვადები და პასუხისმგებელი პირები.

2.4

განხორციელებული
შესყიდვები

2018-2019 წლებში შესყიდვების განხორციელებისას კომპანია ხელმძღვანელობდა მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სპეციალური წესებით⁵⁹ და საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

ცხრილი №3. ინფორმაცია შესყიდვების ტიპების, რაოდენობის და სახელშეკრულებო თანხების შესახებ

შესყიდვის ტიპი	რაოდენ. 2018	სახელშეკრულ. თანხა 2018	რაოდენობა 2019	სახელშეკრულ. თანხა 2019
სულ შესყიდვები	699	82,636,120	660	105,826,711
მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვები	271	74,109,456	286	95,889,675
მათ შორის:				
ელექტრონული ტენდერი	2	83,442	-	-
ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე	21	509,294	19	1,991,733
გამარტივებული შესყიდვა	248	73,516,720	267	93,897,943
მათ შორის: სპეციალური წესით	428	8,526,664	374	9,937,036
მათ შორის:				
შესყიდვის ელექტრონული პროცედურა	2	1,475,970	2	1,022,000
გამარტივებული შესყიდვა	426	7,050,694	372	8,915,036

2.4.1 დადგენილ ვადებში
შეუსრულებელი
ხელშეკრულებები

კრიტერიუმი:

მონეტარულ ზღვარს ზემოთ გამარტივებული შესყიდვის ერთ-ერთი საფუძველია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებული შეზღუდული ვადები. მსგავს შემთხვევებში შესყიდვების სააგენტოს თანხმობისა და შემსყიდველის მიმართვის საფუძველზე, შესყიდვის გამარტივებული წესით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.⁶⁰ შესყიდვების სააგენტოსთან და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას

⁵⁹ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 თებერვლის №105 და 2019 წლის 6 ივნისის №266 დადგენილებები - კომპანიის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ.

⁶⁰ „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის № 13 ბრძანების მე-3 მუხლი.

ექვემდებარება ცვლილება, რომლის შედეგად იზრდება ხელშეკრულების შესრულების ვადა.⁶¹

ფაქტობრივი გარემოებები: მთავრობის განკარგულებების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით⁶² გათვალისწინებული ვალდებულებები მიმწოდებლებმა ხუთ შემთხვევაში ვერ შეასრულეს განსაზღვრულ ვადებში.

ოთხ შემთხვევაში ხელშეკრულებაში ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ცვლილება არ განხორციელებულა, ხოლო ერთ შემთხვევაში,⁶³ ვალდებულების შესრულების ახალი თარიღი განისაზღვრა ვალდებულების შესრულების თავდაპირველი ვადის გასვლიდან 148 დღეში.⁶⁴ ამასთანავე, ხელშეკრულების ვადის ცვლილება არ შეთანხმებულა შესყიდვების სააგენტოსთან და საქართველოს მთავრობასთან.

დასკვნა კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე დროულად არ განახორციელა რეაგირება და ოთხ ხელშეკრულებაში არ შეიტანა ცვლილებები სათანადო დასაბუთებით, შესყიდვების სააგენტოსთან და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ხოლო ერთ შემთხვევაში ვადის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო შესყიდვების სააგენტოსთან და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან 148 დღის შემდეგ.

2.4.2 დარღვევებით წარმოებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები

კრიტერიუმი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას.⁶⁵ სამშენებლო საქმიანობის ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, სამშენებლო ნორმები, წესები და სტანდარტები. დამკვეთმა საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად უნდა შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამუშაოების შემსრულებელი, უზრუნველყოს მშენებლობის პროექტის ექსპერტიზა და აიღოს მშენებლობის დაწყების ნებართვა უფლებამოსილი ორგანოსაგან.⁶⁶ მშენებლობის დაწყების სამართლებრივი საფუძველია მშენებლობის ნებართვა და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მშენებლობის შესაძლებლობაზე.⁶⁷ სავალდებულო საექსპერტო შეფასებას ასევე საჭიროებს V კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის წარმოების ყველა ის

⁶¹ „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების 7¹ მუხლი.

⁶² CMR180146735, CMR190077675, CMR190136165, CMR190136175, CMR190136188.

⁶³ TECHNOALPIN-თან გაფორმებული ხელშეკრულება - CMR180146735.

⁶⁴ ვალდებულების შესრულების საბოლოო თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 31 აგვისტო.

⁶⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი.

⁶⁶ „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

⁶⁷ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილების 33-ე მუხლი.

ეტაპი, რომელიც ძირითადი კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიური ნაწილების განხორციელებასთან არის დაკავშირებული.⁶⁸

ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წელს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი⁶⁹ გუდაურში შინოს⁷⁰ ფარეხის⁷¹ სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. ტენდერში გაიმარჯვა ამხანაგობა „ალმა-2017“-მა, რომელმაც უარი განაცხადა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებაზე, იმ მიზეზით, რომ ფარეხის ირგვლივ მოსაჭრელი მიწის მასა ქმნიდა განსახორციელებელი სამუშაოების დაზიანების რისკს. აღნიშნული გარემოების გამო, კონტრაქტორმა მოითხოვა ვადის გაგრძელება მიწის მოჭრის სამუშაოების დასრულებამდე.⁷² კომპანია არ დათანხმდა ვადის გაგრძელებას და შეუწყვიტა ხელშეკრულება, ასევე დააკისრა 22,916 ლარის ოდენობის პირგასამტეხლო და მიმართა შესყიდვების სააგენტოს მიმწოდებლის შვს სიაში დასარეგისტრირებლად, რაც სააგენტომ არ გაიზიარა.

ზემოაღნიშნული პრობლემა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ კომპანიამ სამშენებლო პროექტის ავტორისგან⁷³ მიიღო ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამო პროექტი,⁷⁴ კერძოდ, ფარეხის სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტი არ მოიცავდა კლდოვანი ქანის დემონტაჟს.

აღსანიშნავია, რომ შინოს ფარეხის სამშენებლო სამუშაოები კომპანიამ თავდაპირველად შეისყიდა 2017 წლის ტენდერის საფუძველზე,⁷⁵ რაშიც გადაიხადა 317,765 ლარი. კონტრაქტორმა სამუშაოები განახორციელა სამშენებლო ნებართვის გარეშე. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სამ თვეში, ახალაშენებული შენობა დაზიანდა და გახდა ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი. კომპანიის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზი იყო მშენებლობის პროექტში დაშვებული შეცდომები, რის გამოც 2019 წლის ნოემბერში პროექტის ავტორის – შპს „სევენ სტუდიოსგან“ სასამართლოს მეშვეობით მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ შპს „სევენ სტუდიო“ მიერ მომზადებულ საპროექტო დოკუმენტაციას კანონმდებლობით სავალდებულო⁷⁶ ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება ჩაუტარდა არა მშენებლობის დაწყებამდე, არამედ შენობის დაზიანების შემდეგ.

დასკვნა

კომპანიამ შინოს საბაგიროს ფარეხის მშენებლობა 2017 წელს დაიწყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვისა და მშენებლობის პროექტის სავალდებულო ექსპერტიზის გარეშე. დარღვევებით წარმოებული მშენებლობა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სამ თვეში გახდა ექსპლუატაციისათვის

⁶⁸ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილების 27-ე მუხლი.

⁶⁹ 2019 წლის 8 აპრილს გამოცხადებული ტენდერი (NAT190007176) სავარაუდო ღირებულებით - 320,240 ლარი დღგ-ის ჩათვლით.

⁷⁰ შინო - ადგილმდებარეობის დასახელება.

⁷¹ ფარეხი განკუთვნილია საბაგირო გზების აღჭურვილობებისთვის.

⁷² კომპანიის მიერ 2019 წლის სექტემბერში, მათ შორის, მიწის მოჭრის სამუშაოებზე, გამოცხადდა ახალი ტენდერი (NAT190017482).

⁷³ შპს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა“.

⁷⁴ 2018 წლის 14 სექტემბრის №382 ხელშეკრულება.

⁷⁵ 2017 წლის 2 ივნისს გამოცხადებული ტენდერი (NAT170006071) სავარაუდო ღირებულებით - 298,860 ლარი, დღგ-ის ჩათვლით.

⁷⁶ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილების 26-ე მუხლი.

გამოუსადეგარი, რის გამოც კომპანიას მოუხდა განმეორებითი შესყიდვების განხორციელება დაზიანებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით.

კომპანიამ თავდაპირველი მშენებლობისა და შემდგომი რეკონსტრუქციის სამუშაოები აწარმოა წინასწარი სამშენებლო ნებართვებისა და მშენებლობის წარმოების ეტაპების სავალდებულო საექსპერტო შეფასებების გარეშე, რითაც შექმნა განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობის (V კლასის) სათანადო ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკები.

2.4.3 პროექტის შეუსაბამო სამუშაოები

კრიტერიუმი:

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა სრულდებოდეს ყველა წესისა და სტანდარტის შესაბამისად შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების მიხედვით. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს პროექტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წელს კომპანიამ მთავრობის განკარგულების⁷⁷ საფუძველზე გამარტივებული წესით⁷⁸ 821,382 ლარად შეისყიდა შპს „ელექტრიკალ სერვის გროუპისგან“ გუდაურში ახალი საბაგიროების ელექტრო მომარაგებისათვის საჭირო, ასევე არსებული ქსელის აღდგენის ელექტრო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მიმწოდებელი ვალდებული იყო სამუშაოები ეწარმოებინა საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად და გამოეყენებინა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი მასალა, დეტალები და მოწყობილობები. მიღება-ჩაბარების აქტის⁷⁹ მიხედვით, შესრულებული სამუშაოების საბოლოო ღირებულებამ დღგ-ის ჩათვლით 667,048 ლარი შეადგინა, რაც 155,573 ლარით ნაკლები იყო საპროექტო ხარჯთაღრიცხვის თანხაზე.

ამ მნიშვნელოვანი სხვაობის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ არ შესრულდა ან ნაწილობრივ შესრულდა პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო-ელექტროსამონტაჟო სამუშაოები. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დაუმონტაჟებელი ძირითადი მასალა-მოწყობილობების ღირებულებამ შეადგინა 34,000 ლარი.

დასკვნა

კომპანიამ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმა პროექტისგან განსხვავებით შესრულებულ სამუშაოებზე, პროექტში შესაბამისი ცვლილების განხორციელების გარეშე. აღნიშნული ქმნის სამუშაოების მიღების რისკს, რომელმაც შესაძლოა ვერ დააკმაყოფილოს შემსყიდველის რეალური საჭიროებები.

⁷⁷ 2018 წლის 2 ივლისის №1332 განკარგულება.

⁷⁸ 2018 წლის 10 სექტემბრის №367 ხელშეკრულება (CMR180158293).

⁷⁹ გაფორმდა 2018 წლის 26 დეკემბერს.

2.4.4 ნებართვების გარეშე დაწყებული სამშენებლო სამუშაოები

კრიტერიუმი: მშენებლობის დაწყების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მშენებლობის შესაძლებლობაზე.⁸⁰

ფაქტობრივი გარემოებები: კომპანიამ 2018-2019 წლებში 12 ხელშეკრულების⁸¹ საფუძველზე შესყიდული 158,702,266 ლარის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები აწარმოა წინასწარი სამშენებლო ნებართვების გარეშე. აღნიშნულის საფუძველს, კომპანიის განმარტებით, ხშირ შემთხვევაში წარმოადგენდა მთავრობის განკარგულებებით განსაზღვრული ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელების აუცილებლობა და მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები.

დასკვნა კომპანიის მიერ განსახორციელებელი რთული და სპეციფიკური სამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე, ასეთი სამუშაოების უნებართვოდ წარმოებამ, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს სხვადასხვა მიმართულებით (გარემოზე ზემოქმედება, მოსახლეობის უსაფრთხოება, არსებული ინფრასტრუქტურის შესაძლო დაზიანება და ა.შ.).

2.4.5 კომპანიისთვის დაკისრებული ჯარიმები

კრიტერიუმი: სამშენებლო სამართალდარღვევა და სანებართვო პირობების შეუსრულებლობა ექვემდებარება სანქცირებას კანონმდებლობის შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოებები: 2018-2019 წლებში კომპანია სამშენებლო და სანებართვო პირობების დარღვევისთვის დაჯარიმებულია 6-ჯერ, ჯამში – 595,000 ლარით,⁸² საიდანაც 582,000 ლარი არის განმეორებითი სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა. აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიმდინარეობის ეტაპისთვის კომპანია მთავრობის განკარგულებით⁸³ გათავისუფლებული იყო 312,000 ლარის გადახდისაგან.

დასკვნა 2018-2019 წლებში სამშენებლო და სანებართვო პირობების დარღვევისთვის კომპანიაზე დაკისრებული მნიშვნელოვანი მოცულობის ჯარიმები მიუთითებს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული დაჯარიმების საფუძველების აღმოფხვრა კომპანიისათვის არ არის პრიორიტეტული, მიუხედავად ასეთ სამუშაოებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა.

⁸⁰ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილების 33-ე მუხლი.

⁸¹ NAT180014692, CMR180136898, CMR180130639, CMR180130643, CMR180130644, CMR180146735, NAT190008859, CMR190136165, CMR190136175, CMR190136188, CMR190161184, CMR190190656.

⁸² დაჯარიმებულია სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ.

⁸³ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №529 განკარგულება.

2.5. ქონების მართვა

2.5.1 ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:

კომპანიის მიერ ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად.⁸⁴

კომპანიას ევალებოდა 2019 წლის 1 დეკემბრამდე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სრული ინვენტარიზაციის ჩატარება და შესაბამისი ოქმის სააგენტოში წარდგენა.⁸⁵

ფაქტობრივი გარემოებები:

კომპანიას აუდიტის პერიოდში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია არ ჩატარებია. კომპანიის მიერ ძირითადი აქტივების ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარდა 2015 წელს.

დასკვნა

კომპანიას 2018-2019 წლებში არ ჩატარებია ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების სისრულის და არსებობის შესახებ. ამასთანავე, ინვენტარიზაციის ჩატარებლობა ზრდის კომპანიის ქონების დანაკარგების რისკს.

2.5.2 კომპანიის საკუთრებად დაურეგისტრირებული ქონება

კრიტერიუმი:

საკუთრება უმრავლეს შემთხვევაში რეგისტრირდება უფლებათა რეესტრში.⁸⁶ საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.⁸⁷

ფაქტობრივი გარემოებები:

კომპანიის ბალანსზე რიცხული მიწის ნაკვეთებიდან, აუდიტორული შერჩევის საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 159 მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის საკითხი. შედეგად გამოვლინდა 19 მიწის ნაკვეთი, რომელიც არ არის რეგისტრირებული კომპანიის საკუთრებად. აღნიშნული მიწის ნაკვეთები სახელმწიფოს საკუთრებაშია და კომპანიის ბალანსზე ძირითადად აისახა 2019 წელს კომპანიასთან შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ შერწყმის შედეგად.

აღსანიშნავია, რომ თეთნულდის სასრიალო გზები ნაწილობრივ შეტანილია კომპანიის კაპიტალში, ხოლო გუდაურის, ბაკურიანის, გოდერძის და ჰაწვალის სამთო-სათხილამურო კურორტების სასრიალო გზები არ არის შეტანილი კაპიტალში. აღნიშნული სასრიალო გზების ნაწილი მოქცეულია კერძო

⁸⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁵ სააგენტოს 2019 წლის 8 აგვისტოს №1/1-3337 ბრძანება „სახელმწიფოს 100%-იანი (სს-ის შემთხვევაში - 75%-ზე მეტი) წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში ქონების, მოთხოვნებისა და ვეღდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“.

⁸⁶ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁸⁷ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი, მე-5 პუნქტი.

საკუთრებაში, ხოლო ზურულდის სასრიალო გზა არის 100%-ით კერძო საკუთრება.

კომპანიის განმარტებით, ეტაპობრივად დაწყებულია სასრიალო გზებზე სარგებლობის უფლების მოპოვებაზე შესაბამისი შეთანხმებების ფორმალიზება.⁸⁸

აუდიტის ჯგუფმა ასევე შეისწავლა ბალანსზე რიცხულ 39 შენობა-ნაგებობაზე კომპანიის უფლებრივი მდგომარეობა. ამ შენობა-ნაგებობებიდან 16 ერთეულს საკადასტრო კოდები არ აქვს მინიჭებული და არ არის რეგისტრირებული კომპანიის საკუთრებად.

კომპანიის ხელმძღვანელობის ახსნა-განმარტებით, აღნიშნული შენობა-ნაგებობები სრულად ან ნაწილობრივ განთავსებულია სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე.

დასკვნა

კომპანიის საკუთრებად არ არის რეგისტრირებული ბალანსზე რიცხული 19 მიწის ნაკვეთი, ასევე დაურეგისტრირებელია ბალანსზე რიცხული 16 შენობა-ნაგებობა და არ აქვს მინიჭებული საკადასტრო კოდი. სასრიალო გზების უმეტესობა არ არის ბალანსზე აღრიცხული და კომპანიის საკუთრებად რეგისტრირებული.

2.6 მოთხოვნები და

ვალდებულებები

2.6.1 მოთხოვნის მართვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია სამეურნეო წლის ბოლოს უნდა ატარებდეს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას.⁸⁹ სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს.⁹⁰ დირექტორი კომპანიის საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.⁹¹

ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოთხოვნები შეადგენდა 29,638,760 ლარს.⁹²

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან და განმარტებებიდან დგინდება, რომ 2018-2019 წლებში მოთხოვნების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და სათანადო მოვალეთა რეესტრი არ შემუშავებულა.

ამასთანავე, 25 დეპიტორის მიმართ მოთხოვნების ოდენობა 2018-2019 წლებში უცვლელია და ჯამში შეადგენს 60,312 ლარს. კომპანიამ აუდიტის ჯგუფს ვერ

⁸⁸ სერვიტუტი.

⁸⁹ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების მე-13 მუხლი.

⁹⁰ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი.

⁹¹ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

⁹² კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2018-2019 წლების ბრუნვითი უწყისების მიხედვით.

წარმოდგინა მტკიცებულებები უმოძრაო დებიტორული დავალიანებების შესამცირებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

დასკვნა

კომპანიას 2018-2019 სამეურნეო წლების ბოლოს არ ჩაუტარებია მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება დებიტორული დავალიანებების არსებობის, სისრულის და სიზუსტის შესახებ. კომპანიის მიერ სათანადოდ არ იყო გამოყენებული 25 დებიტორის მიმართ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში თანხის მოთხოვნის უფლება, რაც ამცირებს მათი მიღების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია №6

მოთხოვნების მართვის უზრუნველსაყოფად შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ განსაზღვროს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას, დებიტორებთან მოლაპარაკებებს და ურთიერთშედეგების აქტების გაფორმებას, მოთხოვნების წარმოშობის, ხანდაზმულობის და დაკმაყოფილების შესაძლებლობის შესწავლას. ასევე მიზანშეწონილია კომპანიამ დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დებიტორებთან დაკავშირებული მონაცემების სისტემატურ განახლებას და ხელმძღვანელი პირებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, მოთხოვნების მართვასთან დაკავშირებით ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

2.7 შრომის ანაზღაურება

2018 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებული იყო 440 თანამშრომელი, 2019 წლის ბოლოს – 601. კომპანიის მიერ 2018-2019 წლებში შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები 16,331,387 ლარს შეადგენს:⁹³

ცხრილი N4. 2018-2019 წლებში შრომის ანაზღაურების ხარჯები

წელი	ხელფასი	პრემია	დანამატი	სულ
2018	5,478,361	1,046,036	67,079	6,591,476
2019	8,245,036	1,298,067	196,808	9,739,911
სულ:	13,723,397	2,344,103	263,887	16,331,387

2.7.1 კომპანიის დირექტორის ხელფასის უსაფუძვლო ზრდა

კრიტერიუმი:

დირექტორის დანიშვნის და გამოწვევის, მათთან ხელშეკრულებების დადების და შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება.⁹⁴ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის

⁹³ კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

⁹⁴ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

უფლებამოსილებების განმახორციელებელია სააგენტო.⁹⁵ შრომის ანაზღაურების ოდენობა შრომის ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს⁹⁶ და მის ოდენობას განსაზღვრავს სააგენტო.⁹⁷

ფაქტობრივი გარემოებები:

სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით,⁹⁸ კომპანიის დირექტორის შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 2,900 ლარის ოდენობით. კომპანიის დირექტორმა ბრძანებით,⁹⁹ საკუთარი შრომის ანაზღაურება გაზარდა 7,500 ლარამდე. აღნიშნული ოდენობა ძალაში იყო სააგენტოს მიერ ახალი დირექტორის დანიშვნამდე,¹⁰⁰ რომლის შრომის ანაზღაურებაც ისევ 2,900 ლარი განისაზღვრა. დირექტორის ბრძანება¹⁰¹ შრომის ანაზღაურების 7,500 ლარამდე გაზრდის თაობაზე, გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რამდენადაც ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება მიეკუთვნებოდა სააგენტოს კომპეტენციას. კომპანიის განმარტებით, სააგენტოს რეგულარულად ეგზავნება სამტატო განრიგი და აქედან გამომდინარე სააგენტო ინფორმირებული იყო დირექტორის ხელფასის მატებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

არაუფლებამოსილი პირის მიერ შრომის ანაზღაურების ზრდასთან დაკავშირებული ბრძანების გამოცემით დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რის შედეგადაც 2016 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ნოემბრამდე კომპანიის ყოფილი დირექტორის ანაზღაურება უსაფუძვლოდ გაიზარდა ჯამში – 109,021 ლარის ოდენობით.¹⁰²

2.7.2 პრემიების გაცემა სათანადო დასაბუთების გარეშე

კრიტერიუმი:

კომპანიაში პრემია დამსაქმებლის მიერ დასაქმებულზე გაცივმა შესრულებული სამუშაოს შეფასების ან/და დასაბუთების საფუძველზე.¹⁰³ თანამშრომელთა წახალისების თაობაზე რეკომენდაციას ამზადებს კომპანიის შესაბამისი სამსახური¹⁰⁴ და გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით. პრემია არის შრომის ანაზღაურების კომპონენტი და კომპანიის დირექტორზე მისი ოდენობის განსაზღვრა სააგენტოს კომპეტენციაა.¹⁰⁵

ფაქტობრივი გარემოებები:

2018-2019 წლებში პრემირებასთან დაკავშირებული ბრძანებები ძირითადად¹⁰⁶ მომზადებულია მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო და წარმატებული შესრულებისთვის. სხვა სახის კონკრეტული დასაბუთება კომპანიამ ვერ წარმოადგინა, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული მოხსენებითი ბარათებიც კი არ არის წარმოდგენილი. კერძოდ,

⁹⁵ სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

⁹⁶ საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი და მე-9 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი. (აუდიტებულ პერიოდში მოქმედი რედაქციით).

⁹⁷ წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁹⁸ №1/1-251, 01.05.2013.

⁹⁹ №309, 11.11.2016.

¹⁰⁰ ბრძანება №1/1-2462, 02.11.2018.

¹⁰¹ ბრძანება №309, 11.11.2016.

¹⁰² 2016 წლის 11 ნოემბრიდან 2018 წლის 2 ნოემბრამდე.

¹⁰³ „პრემიის გაცემის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ კომპანიის დირექტორის 2017 წლის 9 აგვისტოს №358 ბრძანებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰⁴ კომპანიის შინაგანაწესის მე-15 მუხლის 15.3 პუნქტი.

¹⁰⁵ წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁶ გარდა სადღესასწაულო და კვარტალური პრემიებისა.

შერჩეული 24 ბრძანებიდან,¹⁰⁷ კომპანიამ მხოლოდ 16 შემთხვევაში წარმოადგინა მოხსენებითი ბარათი, თუმცა სათანადო დასაბუთების გარეშე.¹⁰⁸ აქედან რამდენიმე შემთხვევაში,¹⁰⁹ დოკუმენტური დადასტურების გარეშეა მითითებული ზეგანაკვეთური სამუშაოები.

2018-2019 წლებში პრემიები გაცემულია ასევე კომპანიის დირექტორებზე, სააგენტოს გადაწყვეტილების გარეშე, კომპანიის დირექტორის¹¹⁰ და დირექტორის მოადგილის ბრძანებების¹¹¹ საფუძველზე, 7-ჯერ, ჯამში – 43,875 ლარი.

დასკვნა

კომპანიაში პრემიები გაცემულია მოქმედი პრემირების წესისა და შინაგანაწესის მოთხოვნების დარღვევით. კერძოდ, არ არის წარმოდგენილი პრემირების სათანადო დასაბუთებები.

ამასთანავე, კომპანიის დირექტორების პრემირების ბრძანებები გამოცემულია არაუფლებამოსილი პირების მიერ, სააგენტოს გადაწყვეტილების გარეშე. შედეგად, პრემიები გაცემულია გაუმჭირვალედ და დაუსაბუთებლად.

2.7.3 დანამატების გაცემა სათანადო დასაბუთების გარეშე

კრიტერიუმი:

კომპანიის შინაგანაწესის¹¹² მიხედვით, დასაქმებულზე სახელფასო დანამატი გაიცემა უშუალო ხელმძღვანელის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე კომპანიის დირექტორის ბრძანებით.

ფაქტობრივი გარემოებები:

2018-2019 წლებში დანამატები კომპანიის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე გაცემულია რამდენიმე დანიშნულებით:

ცხრილი N5. 2018-2019 წლებში გაცემული დანამატების სახეობები

ბრძანებაში აღნიშნული დანამატის საფუძველები	2018 წელი	2019 წელი	სულ ¹¹³
ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება	19	22	41
სხვა თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შესრულება	8	18	26
თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფა	0	22	22
სამუშაოს წარმატებული და დროული შესრულება	1	0	1
არ არის მითითებული	1	2	3
	29	64	93
ზეგანაკვეთური სამუშაოებისთვის გაცემული დანამატის წილი მთლიან რაოდენობაში	66%	34%	44%

¹⁰⁷ ბრძანებების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, შეირჩა თითოეული თვის ერთი ბრძანება.

¹⁰⁸ მოხსენებითი ბარათის შინაარსი არ მოიცავს ბრძანებისგან განსხვავებულ ინფორმაციას და უფრო კონკრეტულ დასაბუთებას.

¹⁰⁹ ბრძანებები: №232, 25.04.2018; №522, 26.10.2018; №475, 25.06.2019; №569, 24.07.2019 და შესაბამისი მოხსენებითი ბარათები.

¹¹⁰ ბრძანებები: №357, 24. 04. 2019; №620; 21. 08. 2019; №758; 30.10.2019 და №903, 23.12.2019.

¹¹¹ ბრძანებები: №316, 25. 06. 2018; №527, 01. 11. 2018 და №438, 24. 08. 2018.

¹¹² კომპანიის შინაგანაწესის მე-15 მუხლის 15.5 პუნქტი.

¹¹³ ბრძანებების რაოდენობა.

ზოგიერთ შემთხვევაში ბრძანებები მომზადებულია დაუსაბუთებლად, შესაბამისი მოხსენებითი ბარათების გარეშე,¹¹⁴ ზოგჯერ კი ბრძანებების შესაბამისი მოხსენებით ბარათებში მითითებული არ არის ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების რაოდენობა.¹¹⁵ შესაბამისი ბრძანებებისა და მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, ზეგანაკვეთური სამუშაოებისთვის გაცემულ დანამატებზე კომპანიამ ვერ წარმოადგინა ზეგანაკვეთური საათების რეალურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ერთეულ ზეგანაკვეთურ საათზე გასაცემი დანამატის მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმები.

კომპანიის განმარტებით, ზეგანაკვეთური ნამუშევარი საათების დამადასტურებელი დოკუმენტის აღრიცხვას აწარმოებენ კონკრეტული სტრუქტურის ხელმძღვანელები, მაგრამ ამას არ აქვს ოფიციალური დოკუმენტის სახე, ასევე კომპანიას შინაგანაწესის გარდა არ გააჩნია დანამატების გაცემის მომწესრიგებელი შიდა დოკუმენტი.

აღნიშნული გარემოებებისა და 2018-2019 წლებში კომპანიაში სამუშაო დროის აღრიცხვის ელექტრონული სისტემის არარსებობის გამო,¹¹⁶ ვერ დავრწმუნდით კომპანიის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოებისთვის გაცემული დანამატების სათანადო საფუძვლების არსებობაში.

დასკვნა

კომპანიაში დანამატები არ გაიცემა სათანადო დასაბუთების საფუძველზე, რაც შესაძლოა უსაფუძვლოდ ზრდიდეს კომპანიის ხარჯებს და ხელს უწყობდეს კომპანიის სახსრების გაუმჭირვალე და არაეკონომიურ განკარგვას.

რეკომენდაცია №8

შპს „საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანია“ სახსრების გამჭვირვალედ და ეკონომიურად განკარგვის მიზნით, განიხილოს სამუშაო საათების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის მთის კურორტებზე დანერგვის შესაძლებლობა და შეიმუშაოს დანამატების გაცემის კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს დანამატების დასაბუთებულობის შესახებ კომპანიის შინაგანაწესის მოთხოვნის დაკონკრეტებას და დანამატების აუცილებლობისა და ერთ ზეგანაკვეთურ საათზე გასაცემი მოცულობის მკაფიოდ განსაზღვრას.

2.7.4 საგადასახადო შელავათის არასწორად გავრცელება

კრიტერიუმი:

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში 6,000 ლარამდე მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან.¹¹⁷

ფაქტობრივი გარემოებები:

შერჩევით გადამოწმდა 2018 და 2019 წლების იანვარში კომპანიაში დასაქმებული, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები სტატუსის მქონე 105 თანამშრომელი.

¹¹⁴ შერჩეულია ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული და საერთოდ, საფუძვლის მითითების გარეშე გამოცემული 22 ბრძანება, საიდანაც 6 შემთხვევაში კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მოხსენებითი ბარათები (ბრძანებებში: №553 26.12.2018; №663, 24.01.2019; №95 25.06.2019 - არ არის მითითებული დანამატის გაცემის საფუძველი; ბრძანებებში: №166, 21.03.2018; №48116,11.2018; №279, 22.03.2019 - არ არის მითითებული ზეგანაკვეთური საათების რაოდენობა).

¹¹⁵ წარმოდგენილი 18 მოხსენებითი ბარათიდან ხუთში (№130, 23,02,2018; №177, 23,03,2018; №193, 30,03,2018; №311, 22.06.2018; №521, 25.10.2018) არ არის მითითებული ზეგანაკვეთური საათების რაოდენობა.

¹¹⁶ მხოლოდ 2019 წლის ბოლოს გამოიცა ბრძანება (№825, 21.11.2019) თბილისის ოფისის დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვის ელექტრონული სისტემის შემოღების შესახებ.

¹¹⁷ საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 82, პუნქტი 2^ბ.

ხუთ შემთხვევაში 23,903 ლარზე საგადასახადო შეღავათი გავრცელებულია სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე.

დასკვნა

საგადასახადო შეღავათი გავრცელებულია საგადასახადო კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. 23,903 ლარი გაცემულია დაბეგვრის გარეშე. აღნიშნული თანხის საშემოსავლო გადასახადი ექვემდებარება ბიუჯეტში გადარიცხვას.

2.8 სხვა ხარჯები

2.8.1 გაუმჭირვალე ხარჯი

კრიტერიუმი:

ყოველი შესყიდვის განხორციელებამდე, ორგანიზაცია უნდა ატარებდეს ბაზრის კვლევას შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების და ხელშეკრულების პირობების დადგენის მიზნით.¹¹⁸ ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინება, კონკურენტული გარემოს შექმნის და შესყიდვის ეკონომიურად განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იყოს ასახული გასაწევი მომსახურების მახასიათებლები, რათა შემსყიდველს მიღება-ჩაბარების ეტაპზე მიეცეს შესაძლებლობა შეაფასოს შესყიდული მომსახურება შეესაბამება თუ არა იმ მოთხოვნებს, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 26 მაისის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვის მიზნით კომპანიასა და შპს „ვიზარდ ივენთს“ შორის გაფორმდა 122,581 ლარის ღირებულების ხელშეკრულება,¹¹⁹ რომელიც ითვალისწინებდა სამთო სათხილამურო ღონისძიების ორგანიზებას, ტერიტორიის მოწყობას, აქტივობებს, დეკორაციებს, გახმოვანების აპარატურას, ვიდეო გადაღებას, ტურნირის მონაწილეების განთავსებას და სხვა. ხელშეკრულების პირობების თანახმად მიღება-ჩაბარების აქტი კომპანიის მიერ უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულების შესრულების კონტროლის საფუძველზე.

გაფორმებული ხელშეკრულება არ მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან სპეციფიკაციებს (შესყიდული მომსახურებისთვის გამოყენებული LED ეკრანების ზომა, ხარისხი, ელექტროენერგიის გენერატორის სიმძლავრე, დასამზადებელი კლიპის ხანგრძლივობა და სხვა მახასიათებლები), რომლითაც უნდა განსაზღვრულიყო ის მინიმალური მოთხოვნები, რაც უნდა დაეკმაყოფილებინა მიმწოდებელს. მაგალითად, ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული იყო:

- მანქანა გენერატორი - რაოდენობა 1 - 3,500 ლარი
- გახმოვანების აპარატურა - რაოდენობა 1 - 2,800 ლარი
- ლედ ეკრანი - რაოდენობა 18 - 5,400 ლარი
- ვიდეოგადაღება და დრონი - რაოდენობა 1 - 7,000 ლარი
- კლიპის მონტაჟი - რაოდენობა 1 - 3,540 ლარი

¹¹⁸ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“

¹¹⁹ 2019 წლის 23 მაისის №194 ხელშეკრულება, CMR190104300.

- ტენტი - რაოდენობა 1 – 1,200 ლარი

მიღება-ჩაბარების აქტები მიმწოდებელთან გაფორმდა სრულ სახელშეკრულებო თანხაზე, თუმცა ხელშეკრულების ნაკლოვანი პირობებიდან გამომდინარე კომპანიას ვერ ექნებოდა შესაძლებლობა განესაზღვრა თუ რამდენად სრულად და ჯეროვნად შეასრულა შპს „ვიზარდ ივენთმა“ ნაკისრი ვალდებულებები.

ამასთანავე, კომპანიამ მიმწოდებელთან ხელშეკრულება გააფორმა ბაზრის კვლევის განხორციელების გარეშე.

ზემოთ ჩამოთვლილ მომსახურებებთან დაკავშირებით, ბაზრის კვლევის და ხელშეკრულებაში დეტალური სპეციფიკაციების არარსებობის გამო სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს კომპანიის მიერ გაწეული ხარჯის ეკონომიურობაზე.

დასკვნა

კომპანიამ, ბაზრის კვლევის გარეშე, მიმწოდებელთან გააფორმა 122,581 ლარის ღირებულების ხელშეკრულება სადაც არ იყო განსაზღვრული რამდენიმე მნიშვნელოვანი მომსახურების დეტალური სპეციფიკაცია. შესაბამისად კომპანია მომსახურების მიღება-ჩაბარების ეტაპზე მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა მიღებული მომსახურების სისრულესა და ხარისხზე. აღნიშნული გარემოებების გამო, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე ვერ შეძლო მოეპოვებინა მტკიცებულებები გაწეული ხარჯების ეკონომიურობასთან დაკავშირებით.

კრიტერიუმი:

საბაგირო გზის აბონემენტების უფასოდ და შეღავათიანი ფასით გაცემის საკითხის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებით,¹²⁰ კომპანიის თანამშრომლებს, მათ შვილებს და ოჯახის სხვა წევრებს¹²¹ შეუძლიათ ისარგებლონ საბაგირო გზის უფასო აბონემენტებით. აღნიშნული პირებისთვის აბონემენტების უფასოდ გაცემის საფუძვლად განსაზღვრულია დაინტერესებული პირის დასაბუთებული განცხადება აბონემენტების მიმღებ პირთა შესაბამისი სიით.

იმავე კომისიის გადაწყვეტილებით,¹²² ე.წ. VIP მომხმარებლებზე აბონემენტების უფასოდ გადაცემა და მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლი ევალებათ კომპანიის კონკრეტულ თანამშრომლებს.¹²³

ფაქტობრივი გარემოებები:

აუდიტის პერიოდში კომპანიის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები საბაგირო გზის აბონემენტებით სარგებლობდნენ უფასოდ. 2018 და 2019 წლების იანვარში მხოლოდ კურორტ გუდაურში¹²⁴ აღნიშნულ პირებზე უფასოდ გაცემულია 115 ერთეული აბონემენტი, ღირებულებით – 64,100 ლარი. სულ,

¹²⁰ 2018 წლის 10 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი.

¹²¹ მეუღლე, მშობელი, და, ძმა. აბონემენტი გაიცემა ოჯახის ორ სხვა წევრზე.

¹²² საბაგიროს აბონემენტებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2019 წლის 2 დეკემბრის №2019-2020/4 ოქმი. 2018 წლის დასაწყისიდან 2019 წლის 2 დეკემბრამდე მოქმედი ანალოგიური დოკუმენტი კომპანიამ ვერ წარმოადგინა.

¹²³ მთის კურორტების უფროსები და მათი მოადგილეები.

¹²⁴ მიღებული ზეპირი განმარტებით, კომპანიის სათავო ოფისში ინახება მხოლოდ გუდაურის კურორტის 2018-2019 წლების დოკუმენტები. ანალიზის მიზნით ჩვენ შევარჩიეთ აღნიშნული წლების იანვრის თვეებში (მოცემულ შემთხვევაში ყველაზე აქტიური თვე) პენსიონერებზე, თანამშრომელთა ოჯახის წევრებზე და VIP მომხმარებლებზე გაცემული სეზონური აბონემენტების ხარჯები.

2018-2019 წლებში ანალოგიური აბონემენტების ღირებულებამ 133,000 ლარი¹²⁵ შეადგინა. კომპანიამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტის სახით შექმნილი აბონემენტებით უფასოდ მოსარგებლე პირთა სრული სია, რითაც შესაძლებელი გახდებოდა თანამშრომელთა ოჯახის წევრების იდენტიფიცირება და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის დადგენა. ანალოგიურად, VIP მომხმარებლებზე აბონემენტები გაცემულია უფასოდ, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. ასეთმა ხარჯებმა მხოლოდ გუდაურში, 2018 და 2019 წლების იანვარში – 7,800 ლარი, ხოლო სულ, 2018-2019 წლებში ანალოგიური აბონემენტების ღირებულებამ 128,000 ლარი¹²⁶ შეადგინა. აღსანიშნავია, რომ არ არის დადგენილი, თუ როგორ განისაზღვრება VIP მომხმარებლის კატეგორია.

დასკვნა

2018-2019 წლებში კომპანიის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებზე უფასოდ გადაცემული აბონემენტების თანხობრივმა მოცულობამ შეადგინა 133,000 ლარი. ამასთანავე, VIP მომხმარებლებზე უფასოდ გადაცემული აბონემენტების ღირებულების ჯამმა შეადგინა 128,000 ლარი. კომპანიამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტის სახით შექმნილი აბონემენტებით უფასოდ მოსარგებლე პირთა სრული სია, რითაც შესაძლებელი გახდებოდა თანამშრომელთა ოჯახის წევრების და VIP მომხმარებლების იდენტიფიცირება და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის დადგენა.

მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების გარეშე უფასოდ გადაცემული აბონემენტების ღირებულების ხარჯებად აღიარება ეწინააღმდეგება კომპანიის შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებებს, ხარჯები გაუმჭირვალეა და არ იძლევა მათი საჭიროებისა და მიზნობრიობის დადგენის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია №9

სახსრების ეკონომიურად და გამჭვირვალედ განკარგვის მიზნით, დადგენილი წესით აბონემენტების უფასოდ გაცემის შემთხვევაში, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს განისაზღვროს შესაბამისი ხარჯების მიზნობრიობა და საჭიროება.

2.9 სალაროს

ოპერაციები

2.9.1 სალაროებში

ყოველდღიური ნაშთების ლიმიტის არარსებობა

კრიტერიუმი:

კომპანიის სპეციფიკის, სალაროს ოპერაციების მარეგულირებელი ნორმების არარსებობის და მთლიან შემოსავლებში ნაღდი ფულის სახით მიღებული შემოსავლების მაღალი ხვედრითი წილის¹²⁷ გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კომპანია საქმიანობდეს აღნიშნული საკითხის დეტალურად მომწესრიგებელი დოკუმენტით.

¹²⁵ კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით.

¹²⁶ კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით.

¹²⁷ აღემატება 54%-ს.

ფაქტობრივი გარემოებები:

აუდიტის პერიოდში კომპანიას არ გააჩნდა სალაროს დებულება. კურორტების სალაროებისათვის არ იყო განსაზღვრული ნაღდი ფულის ნაშთის ლიმიტი.

სალაროში ნაღდი ფულის ნაშთის ლიმიტის არარსებობის პირობებში, საბანკო დაწესებულებაში ინკასაციას დაქვემდებარებული თანხის მოცულობა განსაზღვრება მოლარის ან მისი ზემდგომის პირადი გადაწყვეტილებით, რაც წარმოქმნის თანხების არასანქცირებული გამოყენების და დაუცველობის რისკებს.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში კომპანიამ შეიმუშავა სალაროს დებულება,¹²⁸ თუმცა მასში არ არის განსაზღვრული ცალკეულ სალაროში დღის ბოლოს ნაშთების ლიმიტები.

კომპანიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია 2018 და 2019 წლების დასაწყისში ცალკეულ სალაროებში არსებულ ნაღდი ფულის ოდენობების თაობაზე.¹²⁹ შესაბამისად აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ინფორმაცია ყველა სალაროში არსებული ჯამური თანხის შესახებ.

დასკვნა

კომპანიის სალაროს დებულებაში არ არის განსაზღვრული სალაროებში დღის ბოლოს არსებული ნაღდი ფულის ნაშთის ლიმიტები, რაც წარმოქმნის თანხების არასანქცირებული გამოყენების და დაუცველობის რისკებს.

რეკომენდაცია №10

სალაროში არსებული ნაშთების უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ განსაზღვროს და სალაროს დებულებაში ასახოს სამუშაო დღის ბოლოს სალაროებში ნაღდი ფულის ლიმიტები.

2.10. საწვავის განკარგვა

2018-2019 წლებში კომპანიას საწვავს აწვდიდა ოთხი მიმწოდებელი: „ლუკოილ ჯორჯია“, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ და „რომპეტროლ ჯორჯია“. კომპანია საკუთარ სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და სპეცტექნიკაზე საწვავს მოიხმარდა შესაბამისი მიმწოდებლის მიერ დამზადებული ინდივიდუალური ბარათის¹³⁰ ან ჩიპის¹³¹ გამოყენებით. ასევე კომპანია სამთო-სათხილამურო კურორტებზე ფლობს დიზელის რეზერვუარებს, რომლებიც მდებარეობს სასრიალო ტრასებთან და ძირითადად გამოიყენება ისეთი სპეციალური ტექნიკისთვის, რომლებიც ფიზიკურად ვერ გადაადგილდება ავტოგასამართ სადგურამდე.¹³² რეზერვუარებისთვის დიზელის მიმწოდებელი 2018-2019 წლებში იყო „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“.

მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, 2018 წელს კომპანიამ ჯამში მოიხმარა 475,142 ლიტრი, ხოლო 2019 წელს – 526,613 ლიტრი საწვავი.

¹²⁸ 2020 წლის 24 ნოემბრის №448 ბრძანება შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ სალაროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

¹²⁹ 177,651 ლარი - 2018 წლის დასაწყისში ნაღდი ფულის ნაშთი სალაროებში

¹³⁰ ავტოსატრანსპორტო საშუალების ან სპეცტექნიკის სახელმწიფო ნომრის დატანა ხორციელდება ბარათზე.

¹³¹ ჩიპი მონტაჟდება ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავის ავზთან.

¹³² თოვლმავლები, ტრაქტორები, ექსკავატორები და სხვ.

2.10.1 საწვავის ხარჯვის და ლიმიტების ბრძანებების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:	კომპანიის სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცტექნიკისთვის 2018-2019 წლებში საწვავის ხარჯვის ლიმიტები დამტკიცებული იყო დირექტორის ბრძანებებით.
ფაქტობრივი გარემოებები:	აუდიტის შედეგად გამოვლინდა ლიმიტთან დაკავშირებულ ბრძანებებთან შეუსაბამო საწვავის ხარჯვის შემდეგი ფაქტები: 1. ავტომანქანებსა და სპეცტექნიკაზე¹³³ ლიმიტის გადაჭარბებით ხარჯვის ჯამურმა მოცულობამ 2018 წელს 19,709 ლიტრი შეადგინა, ხოლო 2019 წელს – 22,288 ლიტრი.¹³⁴ 2. საწვავი გახარჯულია კომპანიის სარგებლობაში არსებულ ისეთ ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და სპეცტექნიკაზე, რომლებზეც ბრძანებით არ იყო დაშვებული საწვავის ლიმიტი. ასეთ საშუალებებზე 2018 წელს გაიხარჯა 7,663 ლიტრი საწვავი, ხოლო 2019 წელს – 27,740 ლიტრი.¹³⁵ 3. საწვავის ხარჯის ლიმიტები ბრძანებებში დაშვებულია 19 ერთეულ თოვლსატკეპნზე, ხოლო საწვავის ხარჯი გაწეულია 23 ერთეულზე. იმის იდენტიფიცირება, თუ რომელი კურორტის თოვლსატკეპნი იყო გამოტოვებული, შეუძლებელია, რადგან ლიმიტების ბრძანებებში არ არის მითითებული კურორტი ან სპეცტექნიკის რაიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშანი. იგივე მდგომარეობაა Doosan-ის ფირმის ტრაქტორზე. ლიმიტის ბრძანებებში მითითებული იყო ერთი ერთეული, ხოლო საწვავის ხარჯვა წარმოებდა ორი ერთეულით.¹³⁶
დასკვნა	კომპანიაში საწვავის ლიმიტების დადგენის შესახებ დირექტორის ბრძანებები შედგენილი იყო არასრულად და ხარვეზებით. ცალკეულ შემთხვევაში ლიმიტები განსაზღვრული იყო კომპანიის რეალურ საჭიროებებზე ნაკლები ოდენობით. ¹³⁷ ასევე, კომპანიაში დანერგილი კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, საწვავის დადგენილი ლიმიტის გარეშე ხარჯვა არ არის დასაბუთებული და იძლევა არამიზნობრივად გამოყენების საშუალებას.

¹³³ 12 ავტომობილი, 3 თოვლმავალი, 14 თოვლსატკეპნი, 3 სხვა სპეცტექნიკა.

¹³⁴ მათ შორის, 2018 წელს - 18,195 ლიტრი (92%), ხოლო 2019 წელს - 18,972 ლიტრი (85%) არის კომპანიის დიზელის რეზერვუარებიდან გაცემული საწვავი.

¹³⁵ აღნიშნული შეუსაბამოები აღმოფხვრილია 2019 წლის 23 სექტემბრის საწვავის ლიმიტების №677 ბრძანებით და მასში ფიქსირდება ყველა ის ავტოსატრანსპორტო საშუალება და სპეცტექნიკა, რომლებზეც ხორციელდებოდა საწვავის ხარჯის გაწევა.

¹³⁶ აღნიშნული შეუსაბამოები აღმოფხვრილია 2019 წლის 23 სექტემბრის საწვავის ლიმიტების №677 ბრძანებით.

¹³⁷ მაგალითად, კომპანიის ოპერირებისათვის აუცილებელ სპეცტექნიკაზე (თოვლსატკეპნებზე), კომპანიის განმარტებით, ლიმიტი დადგენილი იყო საჭიროზე ნაკლები ოდენობით.

2.10.2 რეზერვუარიდან საწვავის ხარჯვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:	დირექტორი კომპანიის საქმეებს უნდა გაუძღვოს კეთილსინდისიერად და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისთვის. ¹³⁸
ფაქტობრივი გარემოებები:	2019 წლის 23 ივლისამდე კომპანიაში არ იყო შემუშავებული რეზერვუარებზე დანიშნული პასუხისმგებელი პირების მიერ გაცემული საწვავის აღრიცხვის და ხარჯვის დოკუმენტაციის წარმოების წესი.¹³⁹ კომპანიამ ვერ წარმოადგინა 2018 წლის თებერვალში მესტიის რეზერვუარიდან გაცემული საწვავის ხარჯვის დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მარტში – ჯამურად ოთხივე კურორტის რეზერვუარიდან 68,512 ლიტრი საწვავის ხარჯვის დოკუმენტები შედგენილია 20 თვის დაგვიანებით, 2020 წლის ნოემბერში. კომპანიის განმარტებით, საწვავის ხარჯვის დოკუმენტების დაგვიანებული შედგენა გამოწვეული იყო, შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყებით.¹⁴⁰ რეზერვუარებიდან მიზნობრიობის დამადასტურებელი აქტების გარეშე, 2018 წელს გაცემულია ჯამში – 8,700 ლიტრი, ხოლო 2019 წელს – 2,290 ლიტრი საწვავი.¹⁴¹ კომპანიის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული საწვავი განკუთვნილი იყო საბაგრო გზების დიზელგენერატორებისთვის.
დასკვნა	კომპანიაში არ რეგულირდებოდა რეზერვუარებიდან საწვავის გაცემის მიზნობრიობა, ასევე რეზერვუარებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანებებში 2019 წლის 23 ივლისამდე არ იყო გაწერილი რეზერვუარიდან საწვავის გაცემის აღრიცხვის წესი. აღნიშნული მარეგულირებელი აქტების არარსებობამ და კონტროლის მექანიზმების სისუსტემ გამოიწვია დიზელის რეზერვუარიდან საწვავის გაცემის არასრული აღრიცხვა და დაუსაბუთებელი ხარჯვა.
რეკომენდაცია №11	დიზელის რეზერვუარიდან საწვავის გაცემის მიზნობრიობის უზრუნველსაყოფად და საწვავის ხარჯვის სრულყოფილი აღრიცხვის მიზნით, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ შეიმუშაოს დიზელის რეზერვუარებიდან საწვავის გაცემის ინსტრუქცია, სადაც გაწერილი იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული საწვავის აღრიცხვის წესი.

¹³⁸ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹³⁹ განისაზღვრა კომპანიის დირექტორის 2019 წლის 23 ივლისის №565 ბრძანებით კომპანიის მიერ შესყიდული საწვავის მიღებასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ.

¹⁴⁰ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია იხილეთ წინამდებარე ანგარიშის ქვეთავში N 2.10.3 - საწვავის მიღებისა და ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტე

¹⁴¹ სულ 2018 წელს გაცემულია 8,700 ლიტრი, ხოლო 2019 წელს - 9,998 ლიტრი.

2.10.3 საწვავის მიღებისა და ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტე

კრიტერიუმი:	დირექტორი კომპანიის საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისთვის. ¹⁴²
ფაქტობრივი გარემოებები:	2018-2019 წლებში კომპანიის საკუთრებაში არსებულ დიზელის რეზერვუარებში ხორციელდებოდა კომპანიის მიერ „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმისგან“ შესყიდული საწვავის მიღება, რაზეც ბრძანებების მიხედვით დანიშნულები იყვნენ პასუხისმგებელი პირები. 2019 წლის 27 ივლისამდე არ იძებნება რაიმე მარეგულირებელი აქტი ან დამტკიცებული ინსტრუქცია, როგორ უნდა ეწარმოებინათ ან აღერიცხათ რეზერვუარებში საწვავის მიღება პასუხისმგებელ პირებს. 2019 წლის 27 მარტს კომპანიის თანამშრომელმა მიითვისა 22,110 ლიტრი (47,978 ლარის ღირებულების) დიზელის საწვავი, რომელიც „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ბენზინშიდით უნდა მიეღოთ გუდაურის დიზელის რეზერვუარში. კომპანიის თანამშრომელმა გააყალბა ხელმოწერა საწვავის მიღება-ჩაბარების აქტზე და ბენზინშიდიდან საწვავი მიიტანა მისთვის სასურველ ადგილზე. აღნიშნული ფაქტის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელობამ მიაწოდა ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოს და თანამშრომელი მიეცა პასუხისმგებლობაში. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ პორტალის ამონაწერში ფიქსირდება უნომრო (UNOMRO) ბარათი, საიდანაც 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში ჯამში გახარჯულია – 32,021 ლიტრი საწვავი. აღნიშნული ბარათით ერთიანად 200-დან 400 ლიტრამდე საწვავია ჩასხმული თბილისის ტერიტორიაზე. კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით, აღნიშნული ხარჯი იყო დაუსაბუთებელი და უკავშირდება დიზელის საწვავის მითვისებაზე პასუხისმგებლობაში მიცემულ ზემოხსენებულ თანამშრომელს. „ლუკოილ ჯორჯიას“ პორტალის ამონაწერში ასევე ფიქსირდება უსახელო ბარათი (ბარათის ID: 798069329), საიდანაც 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდში დაიხარჯა ჯამში – 7,945 ლიტრი საწვავი. აღნიშნული ბარათით რამდენჯერმე ჩასხმულია ერთიანად, 200-დან 300 ლიტრამდე საწვავი თბილისის ტერიტორიაზე, ხოლო კომპანიის სარგებლობაში არ გააჩნია ამ მოცულობის ავზის მქონე სატრანსპორტო საშუალება ან სპეცტექნიკა. აღნიშნული ბარათიდან საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით კომპანიამ ვერ მოგვაწოდა მიზნობრიობის დამადასტურებელი განმარტება ან დოკუმენტაცია.
დასკვნა	დიზელის რეზერვუარებში საწვავის მიღებისა და საწვავის ბარათებიდან ხარჯვაზე არასათანადო კონტროლის მექანიზმების გამო, კომპანიაში განხორციელდა საწვავის დაუსაბუთებელი და არამიზნობრივი ხარჯვა.

¹⁴² „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

აუდიტორები

ხელმოწერა

მაკა ჭიხორია

წამყვანი აუდიტორი



ქართლოს სახვაძე

წამყვანი აუდიტორი



გიორგი ბერუაშვილი

წამყვანი აუდიტორი



ალექსანდრე მღებრიშვილი

უფროსი აუდიტორი



კორნელი გაბლიშვილი

უფროსი აუდიტორი



თენგიზ თევდორაძე

უფროსი აუდიტორი



საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38